ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 4 მაისი, 2020 №98 (8362) ფასი: 60 თეთრი

ცოლის ცემისთვის თბილისში ნიგერიის მოქალაქე დააკავეს

გვ.5

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ივანიშვილის ბორკილები აღევს“

„მერაბიშვილი პოლიტპატიმრად „ქართულმა ოცნებამ“ აქცია“

„უხერხულია, მურუსიძეს გავასამართლებინოთ ყოფილი პრეზიდენტი“

გვ.2



რომან გოცირიძე: „მთავრობამ ოპოზიცია სახლებში გამოგვამწყვდია“

გვ.3

„ისევ დასავლეთის ზეწოლის იმედი გვაქვს“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „თუ ოპოზიცია გაჯიქდა და თქვა, სანამ ოქრუაშვილი, უგულავა, რურუა და კიდევ ვინც არის, თუ არ გამოვა ციხიდან, მე ხმას არ მივცემ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას, მაშინ ეს ცვლილება განწირულია ჩავარდნისთვის“

პოლიტპატიმრებს თუ არ გაათავისუფლებენ, ხელისუფლება ოპოზიციისგან „ძღვენს“ მიიღებს

ანზორ აბრალავა: „თუ აგრარული ბაზარი ვერ იხსნება, ხელისუფლება ხალხს უნდა დაეხმაროს“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „ყველა ჯურის ნაცს უნდა, სააკაშვილი საქართველოში არ გამოჩნდეს“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 103 ფაქტი გამოავლინა

გვ.3

ISSN 1987-9385

5 დედის მკვლელობისთვის დაკავებულ ნოდარ გამყრელიძეს კიდევ 4 ადამიანის მკვლელობა ბრალდება

2 ყვარლის ჩაკეტვა ან ზომების გამკაცრება არ იგეგმება

2 მარიამ ქვრივიშვილს როლექსის საათები და კარტიეს სამაჯური აქვს

6 კუნძულ კრეტაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ივანიშვილის ბორკილები ადევს“

„მერაბიშვილი პოლიტპატიმრად „ქართულმა ოცნებამ“ აქცია“

იავო ნაცვლიშვილი

რატომ მიმართა 15-მდე პარტიამ უკრაინის ხელისუფლებას, რომ სააკაშვილი დანიშნონ ვიცე-პრემიერად? რა აუცილებლობა დაინახეს ამის? რატომ არ მოაწერა ამ მიმართვას ხელი „ევროპულმა საქართველომ“? რა ინფორმაცია აქვს პოლიტპატიმრების განთავისუფლების თაობაზე? ითანამშრომლებს თუ არა ვანო მერაბიშვილთან და თვლის თუ არა, რომ ის იყო პოლიტპატიმარი? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს პარტიის „კანონი და სამართალი“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი.

– 15-მდე პარტიამ განცხადება გაავრცელეთ და უკრაინის ხელისუფლებას მიმართეთ. რატომ გახდა ამ განცხადების მიმართვა საჭირო?

– ხომ ნახეთ, აქედან რამდენი წერილი წავიდა. ხომ ნახეთ ის განცხადება, რომელსაც მოქალაქეები აწერდნენ ხელს?! ზოგი მწერალი და ა. შ. ხელისუფლებამ გააგზავნა წერილები და ა. შ. თუ ნახეთ, ჩვენი წერილი ძირითადად გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ წევრებმა გავაკეთეთ. სხვებიც არიან, მაგრამ უმეტესობა მისი წევრები ვართ.

15-მა პარტიამ მოვაწერეთ ხელი, მათ შორის არის ჩვენი პარტია „კანონი და სამართალიც“. თუ შეამჩნიეთ, ძალიან ფაქიზი დიპლომატიური წერილი იყო. ძალიან ზომიერი იყო. არავის ლანძღვა არ ყოფილა არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული იყო, რომ როგორი კარგი იქნება ძლიერი უკრაინა საქართველოსთვისაც, რადგან ჩვენ გვყავს ერთი მტერი – ოკუპანტი რუსეთი. რუსეთის მთელი თოქშოუები გაჰყვირიან, სააკაშვილი მანდ არ მოვიდესო.

– რა იყო თქვენი წერილის მთავარი არსი?

– ჩემთვის არის სამი უმთავრესი რამე. პირველი, უკრაინაში უნდა მივიდეს ის, ვისაც პუტინი თვლის უპირველეს ოპონენტად. ეს არის სააკაშვილი. უკრაინული მედია წერს, რომ უკრაინაში არის არნახული კორუფცია, ისეთი, როგორიც რუსეთშია და საჭიროა რეფორმები. წარმოიდგინეთ, რუსული ორიენტაციის ადამიანმა რომ გაიმარჯვოს და ის მივიდეს უკრაინაში, ეს არაფრით არ შეიძლება. მეორეა ის, რომ სააკაშვილს განაჩენი გამოუტანა მურუსიძის სასამართლომ. მურუსიძე იყო გირგვლიანის საქმის მოსამართლე.

ერთ-ერთ ტელეეთერში ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, მე რომ 7 ნოემბერს ვაპროტესტებდი, მაშინ ხელისუფლება გადადგა. 20 ივნისის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს, მაშინდელი შს მინისტრი კი პრემიერ-მინისტრად დააწინაურეს. ხოლო ის იდენტიფიცირებული პოლიციელები, რომლებმაც ხალხს თვალები დასთხარეს, დღესაც სისტემაში არიან.

ოპოზიციას გვაქვს ლეგიტიმური ეჭვი, რომ შერჩევითი სამართალია, ამიტომ გვაქვს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიმართაც შერჩევითი სამართალი განხორციელდა. ამიტომ, სანამ არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, უხერხულია, მურუსიძეს გავასამართლებინოთ ყოფილი პრეზიდენტი.

– თუმცა, როდესაც გირგვლიანის საქმეს იხსენებთ და მურუსიძის როლზე საუბრობთ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რომ მაშინ მსჯავრდებულები სააკაშვილმა შეიწყალა. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ზუსტად აქეთ მივდიოდი. სააკაშვილს გირგვლიანის საქმეზე სისხლის სამართლებრივი წესით ედავებიან შეწყალებას. ახლა რომ შეიწყალა პრეზიდენტმა პოლიციელის მკვლელობისთვის გასამართლებული პირი და მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირი, აქ არ დაირღვა სამართლის პრინციპი?!

– მე ამ კითხვას უფრო მორალური კატეგორიიდან ვსვამ და არა სამართლებრივიდან, რადგან გასაგებია, რომ ეს იყო პრეზიდენტ სააკაშვილის დისკრეციული უფლება.

– მე სამართლებრივიდან ვსვამ, რადგან სამართლებრივად ედავებიან სააკაშვილს, მოდით, სამართლებრივად ვისაუბროთ. მოქმედმა პრეზიდენტმა ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირები შეიწყალა, ხოლო სააკაშვილმა პოლიციელები, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობისთვის იყვნენ გასამართლებულები. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილი დაინიშნება თუ არა უკრაინაში, ამაში არ უნდა ერეოდეს საქართველოს ხელისუფლება.

– ვალერი გელაშვილმაც მიმართა უკრაინას, ამაზე როგორია თქვენი შეფასება?

– მე არავის ხელს არასოდეს არ ვაფარებ. მინდა, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს და პროკურატურის პირობებში დაიწყოს ნებისმიერ საქმეზე გამოძიება, იქნება ეს ყოფილი თუ დღევანდელი, პეტრე იქნება თუ პავლე. მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ამ შერჩევითობის დროს, როდესაც ლაშა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ ყველაფერი ივანიშვილია, ამით მან შეურაცხყოფა მიაყენა პრემიერ გახარიასაც, როდესაც თქვა, რომ გახარიაც რომ ლაპარაკობს, ისიც ივანიშვილიაო. ამ დროს იმ ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილზე, რომ მათ ის არ დანიშნონ რაიმე თანამდებობაზე, მათ ამის უფლება აღარ აქვთ.

– ანუ თქვენ იმას კი არ ითხოვთ, რომ არ მოხდეს სააკაშვილის ან სხვა ვინმეს გასამართლება, არამედ ამბობთ, რომ ჯერ იყოს მიღწეული სამართლის უზენაესობა და დამოუკიდებელმა გამოძიებამ გადაწყვიტოს ეს?

– მე ვერაფრით ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ რა მტკიცებულებებიც მაქვს ნანახი, აქედან გამომდინარე ვისაუბრო სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებაზე. ძალიან ბევრი რამე ბუნდოვანებით არის მოცული ამ ხელისუფლების დასკვნაში. მოვიდეს ნორმალური ხელისუფლება დამოუკიდებელი სასამართლოთი და საგამოძიებო უწყებებით და მერე გადაწყდეს. რა ჩემი საქმეა, ეს ვთქვა, ან ის. ამათ ნათითხნი რა უნდა დავიჯერო?! ადეიშვილის ნოტარიუსს ეძახდნენ მდინარაძეს.

რაც შეეხება ჩემს სურვილს, ძალიან გამეხარდება, თუ უკრაინაში მივა პუტინის მოწინააღმდეგე რეფორმატორი.

– „ევროპულმა საქართველომ“ რატომ არ მოაწერა ხელი თქვენ მიმართვას?

– ვიცოდი, რომ არ მოაწერდა. რამდენჯერ გვქონია მე და თქვენ ამ თემაზე საუბარი?! არაფრით არ ვიტყოდი ამას, თუ არ მეცოდინებოდა ეს ზუსტად. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოკერია ამას არ მოაწერდა ხელს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ბოკერიას ივანიშვილის ბორკილები ადევს. რა ოპოზიციაა, ეს არის ფსევდოოპოზიცია. მათი ოპოზიციონერობა სასაცილოა, ლუსტრაცია უკვე მოხდა.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– მე ადრეც გითხარით, რომ მე არ მჯერა იმ ოპოზიციონერის, რომელიც პუტინზე მომუშავე ბურჯანაძის რეაბილიტაციას ახდენს. გამორიცხულია საქართველოსთვის იმაზე დიდი მტერი, ვიდრე ეს არის ოკუპანტი. ბურჯანაძე არის პოლიტიკური გვამი, ბოკერია კი ახდენს მის რეაბილიტაციას მხოლოდ იმიტომ, რომ შექმნილიყო ახალი გაერთიანება „ძალა ერთობაშია“-ს საწინააღმდეგოდ და ეს გააკეთა ბოკერიამ. მაგრამ ვერ გამოსდით, გზადაგზა ხდება ლუსტრაცია და ხალხი არ ტყუვდება. ბაქრაძის განცხადება ხომ მოისმინეთ? ვინ, ვინ და ბოკერიამ როგორ უნდა ისაუბროს სააკაშვილის დანაშაულებზე?! მე ოპოზიციაში ვიყავი და მე ვიძახი, რომ ამათი გასასამართლებელი არ არის სააკაშვილი-მეთქი.

– ბოკერიაც ამას ამბობს.

– გასაგებია, მაგრამ პირველები ეგენი იყვნენ, რომლებმაც თქვეს, რომ არავინ არ დანიშნავს სააკაშვილს ვიცე-პრემიერად და ა. შ.

– ვიყოთ ობიექტურები, მტკიცებით ფორმაში არ უთქვამთ, ვარაუდი გამოთქვეს. შესაძლოა, განწყობები იცოდნენ.

– პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ მათ ძალიან კარგად იცოდნენ... მათი განცხადებები და ივანიშვილის პოლიტიკა ერთი ერთში ემთხვევა ერთმანეთს. როდის ვინ ვის გაურიგდა, ამას მე ვერასოდეს ვერ ვნახავ, მე ვმსჯელობ შედეგიდან გამომდინარე. თქვენ ამას, გნებავთ გარიგება უწოდეთ, გნებავთ, პოლიტიკური სიბეცე, ან ბრიყვობა, მაგრამ კარგი არც ერთია ამ სამიდან.

ასეთი განცხადება რომ არ უნდა გააკეთოს, ეს ბოკერიამ არ იცის, რომელიც ამდენი ხანია პოლიტიკაშია?! იმ გაერთიანებაში, რომელიც იყო ბოკერიას და ბურჯანაძის გარშემო, მათი უმეტესობა, რამდენიმე ადამიანის გამოკლებით, არის ფსევდოოპოზიცია. მე ბოკერიას და ბურჯანაძის ოპოზიციონერობის არ მჯერა. ევროპელი რომ გვქვია და ახდენ რუსეთზე მომუშავე, კორუფციონერი პოლიტიკოსის რეაბილიტაციას, ამას რა ჰქვია? როგორც მინიმუმ, ამაში მონაწილეობა არ უნდა მიიღო. უხერხულია!

– აქტუალურია ვანო მერაბიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი. აპირებთ თუ არა ითანამშრომლოთ მასთან რაიმე სახით?

– იყო თუ არა მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარი? როდესაც ის დაიჭირეს, მაშინ ის პოლიტიკური პატიმარი არ იყო. იმიტომ, რომ როდესაც შენს სისტემაში ასეთი სახის დარღვევებია, სულ ცოტა, პოლიტიკური პატიმარი ვერ ხარ შენ ჩემთვის. მაგრამ, როგორც კი ღამე გაიყვანეს საკნიდან ვანო მერაბიშვილი, შუაღამით როდესაც გაიყვანეს, ეს ვითარება იცვლება. ამ ღამემდე ის ვერ იყო ჩემთვის პოლიტიკური პატიმარი.

– იმ ღამიდან გახდა?

– იმ ღამიდან ივანიშვილმა და მისმა კარტელმა მერაბიშვილი აქცია პოლიტპატიმრად. როდესაც ხდება ასეთი სახის დარღვევა, ეს ფაქტი უკვე იძენს პოლიტიკურ სარჩულს.

– დღეს მზად ხართ, ითანამშრომლოთ მასთან?

– არა, მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ მის პოლიტიკურ პატიმრობაზე გავაკეთე შეფასება. მე არ ვიცი, რას და როგორ აპირებს ის. მე მაქვს ჩემი პარტია და ჩვენ ვთანამშრომლობთ „ძალა ერთობაშიას“-თან.

ის ახლა არ უნდა შემოვიდეს პოლიტიკაში. ჭკვიანური იქნება, თუ ის არ ჩაერთვება პოლიტიკაში. თუმცა, ეს მისი უფლებაა. მან მოიხადა პატიმრობა და საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მას არ მოუთხოვია შეწყალება.

– მან თქვა, რომ უკვე ჩაერთო პოლიტიკაში. ცალსახა პასუხი ვერ გავიგე თქვენგან, ითანამშრომლებთ თუ არა? არ გაქვთ მიღებული გადაწყვეტილება?

– არა, ნამდვილად არ მაქვს. პარტიაში არ გვქონია ამაზე მსჯელობა. მე მაინც მგონია, რომ ის არ ჩაერთვება არჩევნებისთვის პოლიტიკაში.

– პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხზე გადადგმული ნაბიჯები არ ჩანს. თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება ამ მიმართულებით, ან რა მოლოდინი გაქვთ?

– მე ადრე ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ისევ გავიმეორებ, რომ როდესაც იგრძნობს სიმყიფეს ივანიშვილი, ის არაფერზე წამომსვლელი არ არის. მან იგრძნო ფსევდოოპოზიცია იმ გაერთიანებულ მაგიდასთან, რომელიც იყო შეკრებილი და თავისი ხალხი უზის გაერთიანებულ მაგიდასთან.

მე ყველაფერში რომ ვეთანხმებოდე ნაციონალურ მოძრაობას, ამ პარტიის წევრი ვიქნებოდი. ჩვენ ვემთხვევით ერთმანეთს იმ იდეის დამარცხების გზაზე, რასაც ჰქვია საერთო მტერი. ამიტომ შევქმენით კოალიცია „ძალა ერთობაშია“. მაგრამ, ბევრ რაღაცაში განსხვავებული აზრი მაქვს და ამიტომ შევქმენი ჩემი პარტია. ჩვენ გვყავს საერთო მტერი და ეს არის ოკუპანტი რუსეთი.

ჩვენ ამიტომ ვთვლით, რომ ძლიერი უკრაინა, რომელიც გაატარებს რეფორმებს, ჩვენი ქვეყნისთვისაც კარგი იქნება.

ყვარლის ჩაკეტვა ან ზომების გამკაცრება არ იგეგმება

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე ყვარლის შესაძლო ჩაკეტვა ან ზომების გამკაცრება არ იგეგმება.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, 3 მაისის მონაცემებით, კორონავირუსით 1 ადამიანია ინფიცირებული და გამოკვეთილია 147 კონტაქტი.

– დღეს ამის არავითარი მოლოდინი არ არის. ჩვენ გუშინაც ვსაუბრობდით, რომ შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე. დღევანდელი დილის კვლევებით, რაც ვიცით, არც ერთი ახალი შემთხვევა არ დასტურდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთი არსებული შემთხვევა გვაქვს. ამიტომ, რეჟიმი არ იცვლება.

ეპიდემიოლოგები და სხვა კომპეტენტური ორგანოები აგრძელებენ ყველა კონტაქტის საბოლოოდ გადამოწმებას, რომ არც ერთი გადაუმოწმებელი ფაქტი არ დაგვრჩეს. ამ ეტაპზე 147 კონტაქტია გამოკვეთილი, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

მისი თქმით, რეგიონში მოსახლეობის თერმოსკრინინგი გრძელდება, განსაკუთრებით კი, მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც არიან ექიმები, პოლიციელები და ასე შემდეგ.

– მთელ ქვეყანაში და მათ შორის რეგიონში ტარდება გაფართოებული, მიზანმიმართული პისიარ კვლევები მოწყვლად ჯგუფებზე. ესენი არიან პირველ რიგში, ექიმები, პოლიციელები და ის ადამიანები, ვინც ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან. ამიტომ, დღესაც გრძელდება ეს პროცესი. ამ პირების პისიარ ანალიზი კეთდება და ლუგარის ლაბორატორიაში იგზავნება.

ამ კამპანიის ფარგლებში აღმოჩნდა სწორედ ის ქალბატონი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ. დავამატებ იმასაც, რომ ყველა სოფელში გრძელდება მუნიციპალიტეტის ძალებით თერმოსკრინინგის პროცესი. ზოგადად, მსოფლიოში კოვიდ 19-ის საფრთხეა, ეს საფრთხეა ჩვენთანაც. ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ საფრთხის მიმართ ბოლომდე ადეკვატურები ვიყოთ, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

კახეთში კორონავირუსი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმს 2 მაისს დაუდასტურდა.

მარიამ ქვრივიშვილს როლექსის საათები და კარტიეს სამაჯური აქვს

რა ქონებას ფლობს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსი

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა ქონებრივი დეკლარაცია მიმდინარე წლის 27 აპრილს შეავსო.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე მარიამ ქვრივიშვილი 2019 წლის თებერვალში დაინიშნა. მანამდე ქვრივიშვილი კომპანია „ვოიაჟერის“ დირექტორი იყო, რომელიც საქართველოში ხუთი ავიაკომპანიის გენერალური დისტრიბუტორია.

დეკლარაციის მიხედვით, მარიამ ქვრივიშვილს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე, 11 თვის განმავლობაში, 2019 წლის თებერვლიდან, ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, ხელფასის სახით, აღებული აქვს 55.725 ლარი.

მარიამ ქვრივიშვილი ფლობს ბმვ იქ 6-ს, რომლის ღირებულებაც 60.000 აშშ დოლარს შეადგენს და რომელიც მან 2018 წელს შეიძინა.

ასევე, როლექსის საათს, რომელიც 2016 წელს საჩუქრად მიიღო და მისი ღირებულება 10.000 აშშ დოლარია. ამავე ბრენდის მეორე საათი მარიამ ქვრივიშვილმა 2017 წელს შეიძნა და მასში 12.000 აშშ დოლარი გადაიხადა.

დეკლარაციის მიხედვით, ტურიზის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეკუთვნის კარტიეს სამაჯურიც, რომელიც 2017 წელს 7.000 აშშ დოლარად შეიძინა და ამავე ბრენდის ბეჭედი, რომლის ღირებულებაც 3.500 აშშ დოლარია.

ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. კერძოდ, ოთარ ბერიშვილი ფლობს, 2016 წელს, ჯამში 140.000 დოლარად შეძენილ 2 ბინას (97,7 კვ.მ და 94,2 კვ.მ) თბილისში; ასევე, 2010 წელს 147 კვ.მ ფართობის ბინას, რაშიც 98.000 აშშ დოლარი გადაიხადა. ოთარ ბერიშვილი „აჭარა ჯგუფის“ ბიზნესის განვითარების დირექტორია.

გარდა ამისა, ოთარ ბერიშვილის საკუთრებაშია ე კლასის მერსედესი, რომელიც 2012 წელს 12.000 აშშ დოლარად აქვს შეძენილი.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის შევსების მომენტში მარიამ ქვრივიშილი ფლობდა: „საქართველოს ბანკის“ ანაბარზე – 15.045 ლარს, 40.008 დოლარს, 4.176 გირვანქას, მიმდინარეზე – 4.012 ლარს, საკრედიტოზე – 3.355 ლარს.

თიბისი ბანკის მიმდინარეზე 111 აშშ დოლარს, საბარათეზე კი – 33 ლარს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რომან გოცირიძე: „მთავრობამ ოპოზიცია სახლებში გამოგვამწყვდია“

„ისევ დასავლეთის ზეწოლის იმედი გვაქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, ოპოზიცია პარლამენტის მუშაობის განახლებას ითხოვს, რამდენად გამოვა ეს?

– ახლა, როცა პარლამენტი გაგანია მუშაობაში უნდა იყოს, იგი მკვდარია. როდესაც ქვეყანაში სრულყოფილად არ მუშაობს კონსტიტუცია, შეჩერებულია მისი ზოგიერთი ნორმა, გამომდინარე საგანგებო მდგომარეობიდან, სწორედ ახლა არის საჭირო პარლამენტის გაორმაგებული და გასამმაგებული მუშაობა. სწორედ ახლაა პარლამენტის მაკონტროლებელი როლის გამოყენება აუცილებელი. ქვეყანაში შემოდის რამდენიმე მილიარდი დოლარი, ძირითადად ეს არის სესხების სახით და მისი განკარგვა არ უნდა იყოს მხოლოდ 2 ან 3 ადამიანის პრეროგატივა. მის ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერება არის პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია.

– უკონტროლოდ იხარჯება ეს თანხები?

– მთავრობის მიერ უცხოეთიდან მოზიდული თანხების 85% არის კრედიტები. ამ ფულს კი მთავრობა უკონტროლოდ და თავის ნებაზე ხარჯავს. წარმოადგინა რაღაც „ანტიკრიზისული გეგმა“ და აქეთ-იქით აფრიალებს მილიარდებს. არავის არაფერს ეკითხება, ბიუჯეტიც კი არ შემოუტანია პარლამენტში დასამტკიცებლად.

– საგანგებო მდგომარეობის დროს ხელისუფლებას აქვს ამის უფლება.

– საგანგებო მდგომარეობის დეკრეტით, მთავრობას პარლამენტმა მისცა უფლება, 700 მილიონი ლარი დახარჯოს ყველასგან დაუკითხავად. ასევე ერთი მუხლიდან მეორეში შეუზღუდავად გადაათამაშოს ხარჯები.

არაა ეს სწორი, ახლა საჭიროა კონტროლი. დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს პარლამენტის სხდომები და კომიტეტების მუშაობა. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ფიზიკური დისტანცია იქნას დაცული და ანტივირუსული ზომები გატარებული. ასე უკონტროლოდ სიტუაციის მიშვება აღარ შეიძლება.

მაჟორიტარმა დეპუტატებმა რაღაც ფონდი შექმნეს, აიძულებენ ბიზნესმენებს, რომ ფული შეიტანონ ამ ფონდში. შემდეგ დადიან მაჟორიტარები სოფელ-სოფელ, არიგებენ ხალხის მიერ ბიუჯეტში გადახდილ ფულს და მთავრობის მირ მოზიდულ უცხოურ კრედიტებს. ამ ფულით არიგებენ დახმარებებს და იძახიან, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ დამსახურება.

– საარჩევნო კამპანია წამოიწყეს?

– წამოიწყეს კი არა, გაგანია საარჩევნო კამპანიაში იმყოფებიან.

– ამ ფონზე ცუდ დღეში არ ვარდება ოპოზიცია?

– ოპოზიცია გამომწყვდეული ჰყავთ სახლში. გადაადგილების საშუალებაც კი არ აქვთ, ქალაქები არის ჩაკეტილი, თავად კი გაჩაღებული აქვთ წინასაარჩევნო კამპანია და მოსახლეობასთან ისევ ხალხის მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფულით და საგარეო ვალებით იწონებენ თავს. არსად არ ჭაჭანებს ოპოზიცია.

– ანტიკრიზისულ გეგმაზე საუბრობდით, არ გაამართლებს ეს გეგმა?

– თვითდასაქმებულთა მესამედზე ნაკლებს მთავრობა აძლევს 300 ლარს ერთჯერადად, რაც ჯამში შეადგენს 75 მილიონ ლარს, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენიც ჯდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ოფისის მშენებლობა.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით, პირდაპირი სოციალური დახმარების სახით სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებისთვის გამოიყოფა 618 მილიონი ლარი, რაც 193 მილიონი დოლარის ტოლია. ამით ორი რამ ჩანს ნათლად – რას დაამსგავსეს ლარი და რა მწირი თანხებია გამოყოფილი შემოსავლის გარეშე დარჩენილი ჩვენი მოქალაქეებისთვის მომავალი 6 თვის განმავლობაში.

– ბატონო რომან, ხელისუფლება არ აპირებს, გამოუშვას პოლიტპატიმრები. ოპოზიციას კი ამის გასაპროტესტებლად თავს ზევით ძალა არა აქვს. ასეა?

– სხდომების განახლების შემდეგ, ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებთ პარლამენტში. თუ საჭირო იქნება, ისევ ბოიკოტის რეჟიმში დავბრუნდებით. ჩვენ კომბინირებულად გამოვიყენებთ პოლიტიკური ზეწოლის სხვადასხვა ფორმას. ხელისუფლებამ რომ დაარღვია შეთანხმება და პოლიტპატიმრები არ გამოუშვა, ამის შესახებ ილაპარაკა ამერიკის ელჩმა. მათ განცხადებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ შეთანხმებას ჰქონდა ორი მხარე: ერთი, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება თუ არა შესრულებული, ესეც არავინ არ იცის და მეორე – პოლიტპატიმრები.

– შესაძლოა, კიდევ გადააგდონ ხალხი?

– ივანიშვილმა ერთხელ უკვე მოატყუა როგორც საკუთარი ხალხი, ისე საერთაშორისო საზოგადოება. გაეროს ტრიბუნიდან გამოაცხადეს, პროპორციულ სისტემაზე გადავდივართო, მაგრამ ვნახეთ, რაც მოხდა. ამის მერე მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, რომ 120/30-ზე არ იქნას შესრულებული.

– სწორედ ამაზეა საუბარი, რომ საგანგებო მდგომარეობას გამოიყენებენ მიზეზად და არ შეიტანენ ამ ცვლილებებს.

– მათგან არაფერია გამორიცხული. მეორე ვალდებულება არის პოლიტიკური დევნის შეწყვეტა, შეჩერება ყველა იმ საქმისა, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იყო ინიცირებული. დღემდე ნიკა მელიას გამობმული აქვს სამაჯური და სახლიდან ვერ გამოდის. ირაკლი ოქრუაშვილი, გიგი უგულავა და გიორგი რურუა დღემდე ციხეში არიან. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს ორივე მოთხოვნა ხელისუფლებამ.

– რომ არ უჩანს იმის პირი, რომ შეასრულებს? არც ეშინია არანაირი სანქციების ივანიშვილს, ფიქრობს, რომ ვირუსიდან გამომდინარე მისთის არავის სცალია და პასუხს არავინ მოსთხოვს.

– თუ ასე ფიქრობს, ძალიან ცუდად დაუმთავრდება ეს ყველაფერი ხელისუფლებას. მორალურად ატერორებს ხელისუფლება ოპოზიციას. როგორც კი ხმას ამოიღებს ოპოზიცია, გამოვარდებიან და რა დროს კრიტიკაა, როდესაც ასეთი ვირუსი მძვინვარებსო. თურმე ჩვენ უნდა ვიყოთ პირში წყალჩაგუბებულები და ყველა მათ შეცდომაზე თვალი დავხუჭოთ თურმე.

საგანგებო მდგომარეობა მოირგეს საკუთარ გეგმებზე. აფინანსებენ თავიანთ კოორდინატორებს და მათ საქმიანობას. არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას ამის საშუალება.

– რა ბერკეტი გაქვთ საამისოდ? როგორც ჩანს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არჩევნებიც ძველი სისტემით ჩაატაროს და არც პოლიტპატიმრები გამოუშვას.

– თუ ასე მოიქცევა ხელისუფლება, საბოლოო ჯამში ეს ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ. იმიტომ, რომ მათი ბედი დამოკიდებულია საერთაშორისო დახმარებაზე. თუ ხელისუფლებამ არ შეასრულა ვალდებულებები, მაშინ ძალიან მწარედ დაისჯებიან. არ არის გამორიცხული, სერიოზული სანქციები დაუწესონ, მათ შორის ეს დახმარებებიც შეუწყვიტონ, რასაც პირდებიან.

დახმარების შეწყვეტა კი ნიშნავს იმას, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს ხალხი. ხალხი ამას არ აპატიებს ხელისუფლებას, თუნდაც საერთაშორისო დახმარებების რაიმე ფორმით შეფერხებას.

– ანუ მაინც საერთაშორისო ზეწოლის იმედი გაქვთ?

– რა თქმა უნდა.

– საერთოდ არჩევნების გადადების საკითხი ხომ არ დადგება დღის წესრიგში?

– გააჩნია ვითარებას. იმოქმედებენ ისე, როგორც შექმნილი სიატუციის დროს აწყობთ. აუცილებელია, ამ ეტაპზე გაიხსნას ქალაქები, აღდგეს პარლამენტის მუშაობა, გაუქმდეს კომენდანტის საათი.

ოღონდ მკაცრად უნდა იყოს დაცული ვირუსის საწინააღმდეგო ნორმები.

პოლიტპატიმრებს თუ არ გაათავისუფლებენ, ხელისუფლება ოპოზიციისგან „ძღვენს“ მიიღებს

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მოსალოდნელი პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე საუბრობს.

სოსო ცინცაძე: „თუ ოპოზიცია გაჯიქდა და თქვა, სანამ ოქრუაშვილი, უგულავა, რურუა და კიდევ ვინც არის, თუ არ გამოვა ციხიდან, მე ხმას არ მივცემ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას, მაშინ ეს ცვლილება განწირულია ჩავარდნისთვის“

– ბატონო სოსო, ხელისუფლება აცხადებს საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საარჩევნო სისტემას ეხება, საგაზაფხულო სესიაზე იქნება მიღებული. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოხდება რეალურად საკონსტიტუციო ცვლილებები?

– ხელისუფლებას თუ უნდა ცვლილება, ცვლილება იქნება! ეს უკვე იქცა პრინციპის საქმედ. ეს უკვე ნდობის ფაქტორია, რადგან ხელისუფლებამ პირობა დადო არა მხოლოდ ამომრჩევლის, ოპოზიციის წინაშე, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ნდობა, პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანი რამეა, როგორც ბიზნესში. ხელსუფლება დღემდე აცხადებს, რომ პირობას არ დაარღვევს, მაგრამ ერთი ინტრიგაა, რომელიც უკვე იქცა აქილევსის ქუსლად თუ პარიზის ვაშლად. ცხადია, დაკავებულების გამოშვებას ვგულისხმობ.

თუ ოპოზიცია გაჯიქდა და თქვა, სანამ ოქრუაშვილი, უგულავა, რურუა და კიდევ ვინც არის, თუ არ გამოვა ციხიდან, მე ხმას არ მივცემ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას, მაშინ ეს ცვლილება განწირულია ჩავარდნისთვის. მაშინ, ეს იქნება ოპოზიციის ძღვენი „ქართული ოცნებისადმი“. მოგეხსენებათ, მმართველ პარტიას პარლამენტში არ ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა და მას ოპოზიციის ხმები სჭირდება ამ ცვლილების გასატანად. ხელისუფლებასაც შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცემა თამამად თქვას, მე მინდოდა, მაგრამ ოპოზიციამ არ მოინდომა და მათ გადააბრალებს.

– ოქრუაშვილის და უგულავას გამოშვებას გამორიცხავთ?

– ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ დედამიწის ზურგზე არც ერთი ხელისუფალი არ აღიარებს, რომ მას ქვეყანაში პოლიტპატიმარი ჰყავს. ეს თავის დროზე საბჭოთა კავშირს არ გაუკეთებია. არასდროს არ უღიარებია.

ვერც იმას ვერ ვხედავ, რომ ოპოზიციაში კრეატიული გადაწყვეტილება მიიღონ და ხელისუფლება კუთხეში მიიმწყვდიონ. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ პარლამენტში, კონკრეტულად ამ საკითხზე, მწვავე დებატები გაიმართოს.

– პრეზიდენტის შეწყალებაზე რას იტყვით?

– ეს სულ სხვა საკითხია. არსებობს ინფორმაცია, რომ თითქოს 26 მაისს პრეზიდენტი შეიწყალებს ოქრუაშვილს, უგულავს და კიდევ რამდენიმეს. თუმცა, მე ეს მეეჭვება. საკმარისია მმართველმა პარტიამ აღიაროს, რომ მას პოლიტპატიმრები ჰყავს ციხეში გამომწყვდეული, ციხიდან მათი გამოშვება სწორედ ეს იქნება (თუმცა, შეწყალება ეს სულ სხვა კატეგორიაა). მაშინ, ოპოზიცია ძალიან დიდ საარჩევნო კოზირს მიიღებს ხელისუფლებისგან, მეტიც, მათ შეეძლებათ მთელი წინასაარჩევნო კამპანია ამაზეც კი ააგონ, რომ 21-ე საუკუნის დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტპატიმრები არსებობენ. თუმცა, არ მგონია, ეს ხარაკირი გაიკეთოს ხელისუფლებამ, ეს შეუძლებელია.

– საკონსტიტუციო ცვლილებას რომ დავუბრუნდეთ, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ოპოზიციამ ასე დააყენოს საკითხი: თუ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებთ, ხმებს არ მოგცემთ?

– დიახ, მე სწორედ ამის მეშინია, რადგან ვთვლი, ეს საკონსტიტუციო ცვლილება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, იმდენად მნიშვნელოვანი არის, რომ თამამად შემიძლია ისტორიული, ეპოქალური მნიშვნელობის ვუწოდო. ამ 30– წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე, საქართველოს არ ჰქონია არასოდეს მსგავსი შანსი.

– შეიძლება ამ მნიშვნელობას ბევრი ვერც კი აცნობიერებდეს?

– შეიძლება. საზოგადოების დიდი ნაწილი შეიძლება მართლაც ვერც კი აცნობიერებდეს. პოლიტიკოსთა ნაწილს კი შეიძლება არც უნდოდეს ეს ცვლილება. ეს ცვლილება არის პირდაპირ გადაგმული ნაბიჯი ერთპარტიული, მონოპოლიური პოლიტიკის დასრულებისკენ. პირველ ეტაპზე ერთმა ძლიერმა პარტიამ შეიძლება პატარა პარტიები მოისყიდოს, მაგრამ ეს მუდამ ვერ იქნება. მაგალითად, ისრაელში შეუძლებელია ახლა რომელიმე პარტიამ იყიდოს წვრილი პარტიები.

– ოპოზიცია იტყვის უარს და სასწორზე დააყენებს ამ საკითხს?

– თუ ოპოზიცია ამაზე უარს იტყვის, მაშინ ის არ ფიქრობს საკუთარ მომავალზე, უბრალოდ, არ უნდა გამარჯვება, რომ ზურგზე წამოიკიდოს ის მძიმე ჯვარი, რასაც ქვეყნის ფეხზე დაყენება და დემოკრატიული მართვა ჰქვია. მე მეშინია, რომ ეს შანსი, რომელიც მეტი აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ამ თაობის პოლიტიკოსები უკვე ამას ვეღარ გააკეთებენ, ოპოზიციამ ხელიდან გაუშვას. თუ ასე მოხდა, მაშინ ოპოზიციის ეს ნაწილი საერთოდ აღარ ყოფილა პოლიტიკისთვის დაბადებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 103 ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 103 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 2 მაისის 21 საათიდან 3 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 78 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვის და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 16 მოქალაქე დააჯარიმეს.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 5 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 4 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარის ოდენობით.

ანზორ აბრალავა: „თუ აგრარული ბაზარი ვერ იხსნება, ხელისუფლება ხალხს უნდა დაეხმაროს“

„ზოგიერთი წამალი 70 და 80%-ით არის გაძვირებული“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ რთულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება კრიტიკა ხელისუფლების მიმართ. საზოგადოების ნაწილი მას კორონაკრიზისის დროს მენეჯმენტს უწუნებს. ხალხი კი შეზღუდვების შერბილებას მოითხოვს.

– ვითარება რთულია, ხელისუფლება კი უშეცდომო არ არის. მოსახლეობა დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. შეზღუდვების ნაწილის მოხსნა სასურველია. შესაძლებელია შეზღუდვების მოქცევა სისტემაში და მისი მართვა. კრიტიკა ადვილია. კრიტიკაც არის და კრიტიკაც. პოლიტიკოსი კრიტიკოსებისგან სიძულვილის გარდა არაფერი ისმის. ისე, ხელისუფლების ადგილას რომ ვიყო, ზოგიერთ რამეს სხვანაირად გავაკეთებდი.

– მაგალითად?

– სავაჭრო ობიექტების მუშაობას არ ავკრძალავდი. არც სავალუტო ჯიხურებს დავხურავდი. ეს ყველაფერი ქმნის მინიმონოპოლიებს. საზოგადოების მდგომარეობა გასაგებია. აი, ის პოლიტიკანები კი, რომლებმაც ამ საკითხებზეც ღრიანცელი ატეხეს, თავის ვიწროპარტიულ მიზნებს ემსახურებიან. ისინი ხომ ყველაფერზე ყვირიან და ყველა საბაბით ძაბავენ მდგომარეობას. თვითონ ფსიქოზის მდგომარეობაში იმყოფებიან და ხალხსაც პანიკაში აგდებენ.

– ხალხს პანიკა ისედაც არ აკლია.

– მსოფლიოში და საქართველოშიც უპრეცედენტო მოვლენები ხდება. სიტუაცია ძალიან მძიმეა. საშიშროება აღმოფხვრილი არ არის.

– ბევრი თვლის, რომ ღორისა და ქათმის გრიპები არანაკლები გამოწვევა იყო, მაგრამ

მაშინ ცხოვრების პარალიზება არ მომხდარა.

– ახალი კორონავირუსის მასშტაბები სხვაა. თანაც, ჯერ წამალი და ვაქცინა არ დანერგილა. მსოფლიო მსჯელობს იმაზე, როგორ დაძლია ჩინეთმა ინფექცია.

– დასავლეთში ჩინეთის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკისა ბევრს არ სჯერა.

– დიახ. არსებობს კითხვების გაჩენის საფუძველი. ამასობაში გააქტიურდა თავდასხმები ლუგარის ლაბორატორიაზე. სახელმწიფოები ერთმანეთს სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. ისევ გლობალური დაპირისპირების წინაშე ვართ.

– საქართველოს მოსახლეობა სოციალური უფსკრულის წინაშეც აღმოჩნდა.

– პრობლემა ბევრია. სამწუხაროდ, ამაზე მსჯელობენ არაობიექტური, არაკომპეტენტური და ძალაუფლებას მოწყურებული პოლიტიკოსები. პოლიტიკური წვრილფეხობა თავის მომავალზე დარწმუნებით საუბრობს. იძახიან, ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ამას გავაკეთებთო! საიდან იცი, რომ ხელისუფლებაში მოხვალ? იქნებ, ხალხი არ გირჩევს? შაბათს ვუსმინე ბოკერიასა და ჭიაბერაშვილის გამოსვლებს. სუსტ ადამიანს გული გაუსკდებოდა, ისეთი სურათი დახატეს. ლიბერალიზმი გულისხმობს აზრთა სხვადასხვაობას, თავისთავადობის შენარჩუნებას. კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ ეს ხალხი გაერთიანდა სიძულვილის გარშემო. ეს პოლიტიკოსები ყოველ ნაბიჯზე სიძულვილის ენას იყენებენ.

– დავა გამოიწვია ფრანგულ გამოცემა ლ' ოპინიონში დაბეჭდილმა სტატიამ იმის შესახებ, რომ საქართველოში ინვესტორებისა და მეწარმეებისათვის იმაზე უკეთესი პირობებია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. ოპოზიციის შეფასებით, სტატია დაკვეთილია.

– რა გასაკვირია, რომ ეს თქვან! ეს პოლიტიკოსები ხომ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიან! სახელმწიფო სისტემას ქმნის ბაზარი და თვითონ სახელმწიფო. გვაქვს კრიზისული ვითარება. ამ ვითარებაში გამოჩნდა გარკვეული სპეციალისტების უნარიანობა და პროფესიონალიზმი. ბოლო დროს გამიმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ კორონავირუსმა მსოფლიოს აჩვენა საქართველოში არსებული დიდი ინტელექტუალური პოტენციალი. ეს ბევრმა უცხოელმაც აღიარა, მათ შორის, აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა. ჩვენი ექიმები ვიწრო პროფილის მაღალი დონის სპეციალისტებიც არიან და ფართო პროფილის მედიკოსებიც. მათ შესანიშნავი განათლება მიიღეს. ამგვარი მაღალი დონის პროფესიონალები ჩვენ სხვა დარგებშიც გვყავს. სამწუხაროდ, მათი პოტენციალი არ არის გამოყენებული. წინა ხელისუფლება, სააკაშვილი, ამ ხალხს ჩარეცხილებს ეძახდა და დევნიდა. ახლა ხომ გამოჩნდა, ვინ არის ჩარეცხილი?! მედიკოსები გადაიცნენ ცენტრალურ ფიგურებად. სამწუხაროდ, მანამდე, მათ ეთერს არავინ აკარებდა.

– აგრარული ბაზრების საქმიანობა დაშვებულია, თუმცა, ზოგიერთი მათგანი ამას ვერ ახერხებს. არადა, მოვაჭრეებს ლუკმაპურის შოვნა უნდათ, მყიდველებს კი –საქონლის ყიდვა.

– როცა ასეთი სიტუაციაა, მთავრობა, საკოორდინაციო საბჭო ამაში უნდა ჩაერიონ. თუ აგრარული ბაზარი ვერ იხსნება, ხელისუფლება ხალხს უნდა დაეხმაროს. 6 თვის განმავლობაში 200 ლარის მიცემა და ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება კარგია, მაგრამ უმრავლესობას ურჩევნია, გავიდეს და სამუშაოდან შემოსავალი ჰქონდეს.

– თქვენ გამოთქვით აზრი მომავალში ეკონომიკაში ახალი მიმართულებების გაჩენის შესახებ. ეკონომიკის სტრატეგიაზე დეტალური ხედვა არ მოგვისმენია. ხელისუფლების წარმომადგენლების გამონათქვამებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისევ ტურისტების მოლოდინში ვართ.

– ჩემი მოსაზრება გულისხმობს ჯანდაცვის ინდუსტრიის შექმნას. ტურიზმი მას უნდა მიებას. ამავე კლასტერს მიეკუთვნება ეკოლოგია. ჩვენ ჩვენი სამედიცინო სფეროთი უნდა დავაინტერესოთ სხვები – ტურისტები, აბიტურიენტები. საქართველო უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ადგილი. სოფლის მეურნეობაში პრობლემებია. მოხდა მიწების არასწორი და უსამართლო განაწილება. იმას, ვინც მიწა მიიტაცა, არ უნდა კოოპერატივების შექმნა. ჯანდაცვის, ტურიზმის, აგრარულ სექტორში საქმიანობისათვის გასაცემია უპროცენტო სესხები. ყველაფერი ერთი მსხვილი ჯგუფის ხელში არ უნდა აღმოჩნდეს. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმათ, ვისაც კარგი იდეები აქვს ამ სფეროებში. თორემ, ინიციატივიანი ხალხი უიმედოდაა. ახლა ნიღბების პრობლემა მოგვარდა. ხელისუფლებას უნდა მიეხედა იმისათვის, რომ ჩვეულებრივი პირბადე 5 ლარად არ გაყიდულიყო. ცოტა ხნის წინ პირბადეებს ამ ფასად ჰყიდდნენ. აფთიაქებში მედიკამენტები გაძვირდა. დიაბეტიანები უჩივიან, რომ ზოგიერთი წამალი 70 და 80%-ით არის გაძვირებული. სააქციო საზოგადოებები ისევ თვითნებობენ. აქაც განუკითხაობაა. ამ საკითხებზე ეკონომიკის სამინისტროს უნდა ჰქონდეს კონტაქტი საზოგადოებასთან, განსაკუთრებით, აკადემიურ წრეებთან.

პეტრე მამრაძე: „ყველა ჯურის ნაცს უნდა, სააკაშვილი საქართველოში არ გამოჩნდეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, ბოლო დროს ქართულ საზოგადოებაში უკრაინის ვიცე-პრემიერად სააკაშვილის დანიშვნა-არდანიშვნის თაობაზე დიდი მძლავრებაა. საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიმართეს უკრაინის მთავრობას, რომ არ მიესალმებიან სააკაშვილის რაიმე თანამდებობაზე დანიშვნას. ახლახან ნაცების ჯგუფმა კი გააგზავნა წერილი სააკაშვილის დანიშვნის პროცესის ხელშესაწყობად. თქვენ, ალბათ, აკვირდებით პროცესს. რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

– საკმაოდ არასერიოზული რამ ჩანს. ჩემი ინფორმაციით და ლოგიკით, სააკაშვილის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა თვითონ პრეზიდენტ ზელენსკის თავშიც არ მოუვიდოდა.

– ანუ სააკაშვილის კანდიდატურა ზელენსკის სხვებმა შესთავაზეს?

– კი არ შესთავაზეს, მოუწოდეს. გავიხსენოთ, როცა ზელენსკი ახალარჩეული პრეზიდენტი იყო, აცხადებდა (რასაც წინასაარჩევნო კამპანიისას ამბობდა), რომ რუსეთთან მშვიდობის დამყარება უნდა, არ უნდა ომი. ზელენსკი არწმუნებდა უკრაინელ ხალხს, რომ რუსეთთან მოლაპარაკება, მშვიდობის დამყარება და ნორმალური ურთიერთობის აღდგენა არის საჭიროო.

პუტინმა ზელენსკის განცხადებას ორი რამით უპასუხა. პირველი – პუტინის ბრძანებით დონეცკსა და ლუგანსკში დაიწყო რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება, რაც მანამდე არ კეთდებოდა. მეორე – პუტინმა ზელენსკის მისამართით თითი გაიშვირა და თქვა, სჯობს დაიწყოთ მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის მოქალაქეობის დაბრუნებითო.

– ანუ ეს ბრძანების სტილში იყო ნათქვამი?

– შეთქმულების თეორიის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ფაქტი სახეზეა. თან მიაქციეთ ყურადღება, პუტინს მრავალი საშუალება ჰქონდა, ისე გადაეცა ზელენსკისთვის თავისი შენიშვნა თუ მოთხოვნა, რომ საჯაროდ ეს არ ეთქვა.

– შეიძლება შეგეკამათონ, რომ ეს იყო, ვთქვათ, პუტინის ხუმრობა.

– არანაირი ხუმრობა არ იყო, ვისაც ეჭვი შეეპარება, ნახოს ეს ეპიზოდი. ხუმრობა არ იყო. ამას პროფესიონალი გეუბნებით.

– ამ დროს სააკაშვილის ერთ-ერთმა მომხრემ განაცხადა, წარმოიდგინეთ, უკრაინის ვიცე-პრემიერად სააკაშვილის ადგილზე ვინმე პრორუსი რომ დაინიშნოს, უკრაინა ხომ დაინგრევაო. ნაციონალები ხომ გამუდმებით ამტკიცებენ, რომ პროდასავლურები არიან. პუტინის განცხადება და მისი პათოსი როგორ შეესაბამება სააკაშვილის „პროდასავლურობას“?

– სააკაშვილის ასეთ მომხრეებს ჯერაც არ გააჩნიათ პასუხი კითხვაზე: როგორ მოხდა, რომ სააკაშვილმა ყველა ღირებული ობიექტი საქართველოში, ძირითადად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ვიდრე გაიქცეოდა საქართველოდან, რუსულ კომპანიებს გადასცა. ეს ის რუსული კომპანიებია, რომლებიც მთლიანად პუტინის ადმინისტრაციის მიერ კონტროლდება.

ნაცებმა გასცენ პასუხი იმაზე, რატომ აცხადებდა თავდაცვის მინისტრი ქუთელია უცხოურ პრესაში, რომ 2008 წლის აგვისტოში მოილაპარაკეს კრემლთან და ცხინვალში იმიტომ შეიყვანეს ჯარი. ამის შემდეგ სააკაშვილმა ქუთელია დააწინაურა. სხვა კითხვებიც ბევრია. ნაცებმა ჯერ ამ კითხვებს გასცენ პასუხი და მერე ვიმსჯელოთ მათ მორიგ აბსურდულ განცხადებებზე.

– როგორც ჩანს, სააკაშვილის ვიცეპრემირობა ჩაიშალა იმ აჟიოტაჟის გამო, რაც ამ საკითხის გააქტიურებას საქართველოში (მგონი, არც უკრაინაშია ამ საკითხზე ნაკლები ხმაური) მოჰყვა, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ სააკაშვილი რეფორების საბჭოს მდივნად უნდა დაინიშნოს. რას მოუტანს უკრაინას რომელიმე თანამდებობაზე სააკაშვილის დანიშვნა?

– თავიდანვე ცნობილი იყო, რომ სააკაშვილის დანიშვნას თვითონ ზელენსკის პარტიის ნახევარიც კი არ უჭერდა მხარს. საგულისხმოა, რომ ზელენსკი არც ერთხელ არ გამოვიდა საჯაროდ სააკაშვილის კანდიდატურის მხარდასაჭერად. ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილის წარდგენაზე ზელენსკის ხელიც არ მოუწერია. ყველაფერი ზეპირსიტყვიერებით დასრულდა.

კიეველი კოლეგებისაგან ვიცი, რომ ლაპარაკი იყო ძალიან დიდ ფულზე, რომელსაც სთავაზობდნენ უკრაინელ დეპუტატებს იმისათვის, რათა ხმა მიეცათ სააკაშვილისთვის, მაგრამ სააკაშვილის ვიცე-პრემიერად დანიშნა მაინც ჩაიშალა.

უკრაინის კანონმდებლობით, არც ერთ თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს ადამიანი, რომელიც ნასამართლევი იყო. უკრაინას და საქართველოს დადებული აქვთ ხელშეკრულებები, მათ შორის, იმაზე, რომ ერთმანეთის სასამართლოების გადაწყვეტილებებს სცნობენ. ისმის კითხვა, რა ხდება, საერთოდ?!

ვთქვათ, სააკაშვილი სადღაც მაინც დანიშნეს. გაიხსენონ, როგორ არ დაუჯერა პოროშენკომ საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც პრეზიდენტი პოროშენკო და უკრაინის მთავრობა ოფიციალურად გააფრთხილა, ექსტრადირების მოთხოვნაც გაუგზავნა, მაგრამ მაინც დანიშნა.



– შესაბამისი შედეგიც მიიღო.

– გაფრთხილების მიუხედავად, პოროშენკომ სააკაშვილი მაინც დანიშნა და, ცნობილია, როგორ გაუჭირდა პოროშენკოს სააკაშვილის მოშორება, რომელმაც პირადი პიარის გარდა, არაფერი გააკეთა. უცხოელებმა დაწერეს, სააკაშვილს რეფორმები ისე ესმის, რომ თავისი პიარი გაიკეთოს, სხვანაირად არა. მას რეფორმების არაფერი გაეგება, საერთოდ, მუშაობა არ იცის, მხოლოდ პიარი შეუძლია.

– ნაცებმა უკრაინაში ახლახან წერილი გააგზავნეს სააკაშვილის დასახმარებლად. რა გავლენას მოახდეს მათი წერილი სააკაშვილის დანიშვნაზე?

– ნაცების წერილი ნამდვილად არ მოახდენს გავლენას. მე უფრო სხვა რამ მადარდებს. კერძოდ ის, რომ პოროშენკოს დროსაც და ახლაც უკრაინის ხელისუფლებამ არ გაუწია ანგარში საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მეგობარი, სტრატეგიული ქვეყნის გადაწყვეტილებაზე მაღლა დააყენა პირადი ინტერესები.

– რუსეთიდან დავალებაც რომ იყოს, ზელენსკის მაინც რა მოგება აქვს სააკაშვილის დანიშვნით? მით უფრო, რომ ზუსტად ამ პერიოდში, რა დროსაც სააკაშვილის კანდიდატურა განიხილებოდა, რუსეთმა დონბასსა და ლუგანსკს სახელი გადაარქვა. ამ რეგიონში პროცესები წინ მიდის რუსეთის სასარგებლოდ. მაინც რის სანაცვლოდ უნდა გაითვალისწინოს ზელენსკიმ რუსეთის ინტერესი და სააკაშვილი თანამდებობაზე რატომ უნდა დანიშნოს?

– ზელენსკი შოუმენია. ეს შოუმენი შერჩეული იქნა. თვითონ იმ საარჩევნო კამპანიის მეათასედსაც ვერ დააფინანსებდა. მისი დამფინანსებელი კოლომოისკი მილიარდერია. მეორე მხრივ, კოლომოისკის მებრძოლებმა (მას ჰყავს თავისი შეიარაღებული ფორმირებები) შეიყვანეს სააკაშვილი პოროშენკოს დროს უკრაინაში, როცა საზღვარზე ცოცხალი ჯაჭვი გაარღვიეს და შეიყვანეს.

ამის შემდეგ ზელენსკიმ შესანიშნავი იუმორისტული დადგმა გააკეთა. თვითონ ასახიერებდა სააკაშვილს. გვერდით ჰყავდა ტიმოშენკოს როლის შემსრულებელი. პერსონა, რომელსაც ზელენსკი ასე დასცინოდა, უცებ იტყოდა, რეფორმებს ჩამიტარებსო? ამით ბევრი ადამიანი გააკვირვა.

პოროშენკო გავაფრთხილეთ და სააკაშვილი თანამდებობაზე მაინც დანიშნა. ახლაც იგივე ხდება, მაგრამ ზელენსკიმ, რომელმაც სააკაშვილი თავის დადგმაში გააბითურა, იფიქრებდა, მოდი, სააკაშვილს რეფორმების საკითხს ჩავაბარებ და ვიცე-პრემიერს გავხდიო? ეს ხომ მარაზმია.

– თვითონ ნაციონალებს და მთელ იმ ამალას, რომელიც სააკაშვილს აქ ჰყავს დატოვებული, რაიმეში წაადგება უკრაინაში მისი თანამდებობაზე დანიშვნა?

– რა თქმა უნდა, წაადგება, მაგრამ აქ სხვა რამეზეა ლაპარაკი – ამ ადამიანებს (მათ კარგად ვიცნობ და ვიცი) სძულთ სააკაშვილი.

– თან სძულთ და თან იყენებენ.

– ყველა ჯურის ნაცს უნდა, ს

„ალუდა ზვიადაური ვახტანგ გომელაურის სულიერი ძმა იყო“

თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა სუსის შენობაში

2 მაისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში დილით თანამშრომლებმა 42 წლის ალუდა ზვიადაურის ცხედარი ნახეს. გარდაცვლილს ერთი ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

შემთხვევის ადგილზე იპოვეს რუსული წარმოების იარაღიც, საიდანაც სავარაუდოდ გასროლა მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, სუს-ის თანამშრომელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„კურიერის“ ინფორმაციით, ალუდა ზვიადაური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამეურნეო დეპარტამენტის რიგითი თანამშრომელი იყო. წინასწარი ინფორმაციით, მან გასროლა საკუთარი იარაღიდან მოახდინა. წყარო „რუსთავი 2“-ს უყვება, რომ გარდაცვლილი წლების წინ სპეცრაზმელი იყო და წოდებაც ჰქონდა. გარდაცვლილი რომ ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილდებოდა, ამას მისი მეუღლეც ადასტურებს.

ახლობლების ინფორმაციით, ალუდა ზვიადაურმა მუშაობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 2 წლის წინ დაიწყო, სადაც ის შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის რეკომენდაციით მოხვდა.

ის ვარკეთილში ცხოვრობდა და ვახტანგ გომელაურის ახლობელი იყო. ვახტანგ გომელაური წლების წინ მის მეზობლად ცხოვრობდა. ისინი ერთ სკოლაში დადიოდნენ.

ალუდა ზვიადაურის ცხედარი ექსპერტიზის ბიუროდან მის საცხოვრებელ სახლში 2 მაისსვე გადაასვენეს. მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს, თუმცა არ არის გამორიცხული, გამოძიების ეტაპზე მუხლი გადაკვალიფიცირდეს.

ახლობლებს თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერათ.

– არ მჯერა, რომ ეს პიროვნება ასეთ გარემოებაში გარდაიცვალა. ძალიან კარგი პიროვნება იყო. ვახტანგ გომელაურის ახლობელი. თვითმკვლელობის ვერსიის არ მჯერა, – ამბობს ზვიადაურის ერთ-ერთი ახლობელი.

უბედური შემთხვევის ვერსიას ემხრობა გარდაცვლილის კიდევ ერთი მეზობელი.

– გომელაურის სულიერი ძმა იყო. უფრო მეორე ვერსიას ვემხრობი. მჯერა, რომ იარაღს წმენდდა და მაგ დროს მოხდებოდა, – აცხადებს მეზობელი.

2 მაისს ალუდა ზვიადაურის მეუღლემ რუსთავი 2-თან პირველი კომენტარი გააკეთა.

როგორც ის ამბობს, არ აქვს ინფორმაცია, რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი.

– ლაპარაკის თავი არ მაქვს. მარტო ჩემი ქმარი მანახა, მეტი არაფერი მინდა. მე არაფერი ვიცი, მაგას ვკითხულობ. ჯერ არავინ მეუბნებოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, როგორ იყო არ ვიცი, – თქვა ალუდა ზვიადაურის მეუღლემ.

დედის მკვლელობისთვის დაკავებულ ნოდარ გამყრელიძეს კიდევ 4 ადამიანის მკვლელობა ბრალდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სოფელ ყანდაურაში, დედის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის დაკავებულ ნოდარ გამყრელიძეს ბრალი დაუმძიმდა.

შსს-ს ინფორმაციით, პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ნ.გ. მიმდინარე წლის 25 აპრილს დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა ოჯახის სხვა წევრებს – 1965 წელს დაბადებულ დ.გ.-ს, 1982 წელს დაბადებულ შ.გ.-ს, ასევე, მეზობლებს – 1975 წელს დაბადებულ ლ.ს.-ს და 1950 წელს დაბადებულ მ.მ.-ს, რომლებიც ადგილზე გარდაიცვალნენ. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ნივთმტკიცებებად ამოიღო დანაშაულის ჩადენის იარაღები.

გამოძიება მიმდინარეობს დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის და ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 ნაწილებით.

* * *

– ნოდარ გამყრელიძე აღნიშნულ ბრალს არ აღიარებს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გამყრელიძის ადვოკატმა გიორგი ქართველიშვილმა განუცხადა.

როგორც ქართველიშვილი განმარტავს, მომხდართან დაკავშირებით ნოდარ გამყრელიძე კვლავ არ საუბრობს და ბრალს ისევ არ აღიარებს.

თუ რის საფუძველზე მოხდა დაკავებულისთვის ბრალის დამძიმება, ამ კითხვაზე ადვოკატს პასუხი არ აქვს და აცხადებს, რომ არ იცის.

ყანდაურაში მკვლელობა გასული წლის 3 მაისს მოხდა. შსს-ს მიერ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, 85 წლის ომარ გამყრელიძემ ცეცხლსასროლი იარაღით შვილი, რძალი და ორი მეზობელი მოკლა, ავადმყოფი მეუღლე კი დაჭრა, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა.

ომარ გამყრელიძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით ის 2.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლეს.

ამავე საქმეზე ბრალდებულ ომარ გამყრელიძის შვილიშვილიც დააკავეს. მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავებოდნენ. გასული წლის ნოემბერში პატიმრობიდან ისიც გათავისუფლდა.

მანანა ბოლოთაშვილი: „შვილები ჩვენს სკანდალს არ შესწრებიან, დაზიანება არ მიმიღია“

28 აპრილს საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ცინარიძე მორიგ სკანდალში გაეხვა.

საზოგადოებას თითქმის დავიწყებული ჰყავდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი კადრი, რომლის კარიერაც რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ვიდეოს შეეწირა.

მაშინ, 2015 წლის თებერვალში, გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ ნასვამი ეკა ყურშიტაშვილი დავით ცინარიძეს ურეკავს და პატრულისგან დაცვას სთხოვს.

დავით ცინარიძე ამჯერად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ოჯახური სკანდალის გამო მოექცა. შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოჯახური ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ცინარიძეს ბრალდება მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის და მუქარის ფაქტზე წარედგინა. უწყების ცნობითვე, ცინარიძე დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომლის დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა.

დაკავებული დავით ცინარიძე ბრალს არ აღიარებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს.

მედიასთან არ კონტაქტობდა დავით ცინარიძის მეუღლე მანანა ბოლოთაშვილი, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, გამონაკლისი „ამბებთან“ დაუშვა:

–იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო მოკვლევა, თქვენს კითხვებს ამ ეტაპზე ამომწურავად ვერ ვუპასუხებ. მადლობას გიხდით თანადგომისათვის.

– თავს როგორ გრძნობთ?

– როგორც აღვნიშნე, ფიზიკური დაზიანება არ მიმიღია, ვარ ჯანმრთელად. ჩემი შვილები ინციდენტს არ შესწრებიან და კარგად არიან. ვაგრძელებთ ცხოვრებას ჩვეულ რიტმში.

– შეგიძლიათ, რომ მომხდარი თვითიზოლაციას და მძიმე კარანტინულ ყოფას დაუბრალოთ?

– ჩემთვის თვითიზოლაცია შესაძლებლობაა, ჩემს სამ სამყაროსთან, ჩემს შვილებთან ერთად გავატარო დრო. ერთად ვაცხობთ, ვხატავთ, ვუვლით ჩემს ყვავილების ბაღს, საღამოობით ვსაუბრობთ იმ წიგნებზე, რომლებსაც კითხულობენ. ასევე ვასრულებ დისტანციურად ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას.

დავით ცინარიძე და მანანა ბოლოთაშვილი თითქმის 15 წელია ერთად არიან. წყვილს სამი შვილი ჰყავთ. როდესაც ყოფილი სამართალდამცავი წლების წინ სკანდალში გაეხვა, მაშინ მეუღლემ მხარდამჭერი პოსტი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ამბები

დიტო როსტომაშვილს ძმები ჩეკურიშვილების მკვლელობის მცდელობისთვის 17 წელი მიესაჯა

დოტო როსტომაშვილს, რომელსაც წინასწარი შეცნობით ორი არასრულწლოვანი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა ედებოდა ბრალად, სასამართლომ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

ძაღლების ჩხუბის საფუძველზე, ბრალდებულ დიტო როსტომაშვილს და არასრულწლოვან ძმებს, ერეკლე და დათო ჩეკურიშვილებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რის შემდეგაც, განაწყენებულმა ბრალდებულმა მოკვლის განზრახვით, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან წამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ძმებს დამიზნებით ესროლა.

„2020 წლის 1 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა ბრალდებულ დ. რ.-ს მიმართ და მას წინასწარი შეცნობით ორი არასრულწლოვანი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საქმის მასალების თანახმად, თბილისში, 2019 წლის 9 აგვისტოს ღამის საათებში, ძაღლების ჩხუბის საფუძველზე, ბრალდებულსა და არასრულწლოვან ძმებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი. მხარეებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, განაწყენებულმა ბრალდებულმა მოკვლის განზრახვით, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან წამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით, დამიზნებით ესროლა ძმებს. ბრალდებულმა ერთ-ერთ დაზარალებულს სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობები თავის არეში მიაყენა.

საქმის არსებითად განხილვისას, ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა საქმეში არსებული და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებით, ბალისტიკური და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია დ. რ.-ს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა“ – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცოლის ცემისთვის თბილისში ნიგერიის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული ა.ვ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა ცოლს – 1986 წელს დაბადებულ ფ.გ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სამართალდამცველებმა ა.ვ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს.

თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

2 მაისს თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. მას ჭრილობა ცივი იარაღით მეზობელმა მიაყენა.

შემთხვევა კონიაკის დასახლებაში მოხდა. არსებული ინფორმაციით, დაჭრას წინ უძღოდა შელაპარაკება.

რა გახდა სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი, უცნობია.

დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ინციდენტში მონაწილე მეორე პირი კი დაკავებულია.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს.

ზუგდიდის მაღაზიიდან 50 ათასი ლარის საქონელი მოიპარეს

ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე ტექნიკის მაღაზია გაქურდეს. მაღაზიის მფლობელის თქმით, წაღებულია 50 ათასი ლარის საქონელი.

– მაღაზია გაქურდეს კომენდანტის საათის დროს. წაღებულია ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები და ტელეფონები, დაახლოებით 50 ათასი ლარის საქონელი, – განაცხადა მან.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ქურდობას გულისხმობს.

ბოლნისთან მანქანა ბოძს დაეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე დაშავდა

2 მაისს ბოლნისში, სოფელ აკაურთასთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი პირი გარდაიცვალა და რამდენიმე დაშავდა.

ავტომანქანას მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. ავტომანქანა ბოძს შეეჯახა, რის შედეგად, გარდაიცვალა ერთი პირი და ასევე, დაშავდა ავტომანქანაში მჯდომი რამდენიმე ადამიანი. ისინი ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში არიან გადაყვანილები.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების ან ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

„ბავშვს არც ერთი კიდური საღი აღარ ჰქონდა“

ქუთაისში მანქანა გოგონა ველოსიპედისტს დაეჯახა

2 მაისს ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე ველოსიპედით მოძრავ მოზარდს ავტომობილი დაეჯახა.

თვითმხილველების თქმით, ავტომობილის მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა, რის გამოც გზად მიმავალ გოგონას დაეჯახა.

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოზარდი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში გადაიყვანეს, მაგრამ ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მძღოლი პოლიციას თავად ჩაბარდა.

– ფაქტობრივად არც ერთი კიდური საღი არ ჰქონდა. საცოდაობა დატრიალდა. ბავშვი მთლიანად დეფორმირებულია, – თქვეს თვითმხილველებმა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ავტომობილის ექსპლუატაციის, ან მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ვინ გახდება აშშ-ის ახალი ელჩი უკრაინაში?!

აშშ-ის ახალი ელჩი უკრაინაში შესაძლოა გადამდგარი გენერალი კიტ დეიტონი გახდეს.

დეიტონი პროფესიონალი სამხედროა. მან ელიტარული განათლება მიიღო და წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა. გენერალი რუსეთში აშშ-ის სამხედრო ატაშედაც მუშაობდა. 2010 წლიდან თადარიგშია.

დღეს დეიტონი ევროპის ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ცენტრის დირექტორია.

დეიტონი გავლენიანი მოღვაწე და რუსული იმპერიალიზმის მტკიცე მოწინააღმდეგეა. ექსპერტებიც ვარაუდობენ, რომ მისი უკრაინის ელჩად დანიშვნა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად კორონავირუსისა, უკრაინა აშშ-ის პოლიტიკაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

კიმ ჩენ ინი კვლავ გამოჩნდა

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი 20-დღიანი გაუჩინარების შემდეგ კვლავ გამოჩნდა. ჩრდილოეთ კორეის ტელეგრაფიულმა საagენტომ გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია კიმის შეხვედრა ფხენიანის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი ფაბრიკის მუშებთან.

კიმთან ერთად ფოტოზე ჩრდილოეთ კორეის სხვა ლიდერებიც არიან აღბეჭდილნი.

ოლივიე ვერანი: „საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობას 24 ივლისამდე გავაგრძელებთ“

საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრის, ოლივიე ვერანის ინფორმაციით, ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის 24 ივლისამდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნული ინიციატივა 4 მაისს პარლამენტს გადაეგზავნება.

მისივე თქმით, მიმდინარე თვეში საგანგებო მდგომარეობის მოხსნა ნაადრევი იქნება და შესაძლოა, ვირუსის უკონტროლო გავრცელების საფრთხე შექმნას.

– ჩვენ უნდა მივეჩვიოთ რაღაც დროის მანძილზე ვირუსთან ერთად ცხოვრებას, – განაცხადა საფრანგეთის შს მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა კაბინეტის სხდომის შემდეგ.

ამასთან, საფრანგეთი 11 მაისიდან ლოკდაუნის შერბილებას აპირებს. ახალ კანონში ამ ასპექტებზეც იქნება საუბარი.

საგანგებო მდგომარეობა საფრანგეთში 24 მარტს შემოიღეს. 2 მაისისთვის ქვეყანაში კორონავირუსით 24.594 ადამიანი გარდაიცვალა. ინფექცია ქვეყანაში 167.346 ადამიანს დაუდგინდა. განიკურნა 50.212 ადამიანი.

კუნძულ კრეტაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა



2 მაისს კუნძულ კრეტაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ათენის გეოდინამიკური ინსტიტუტის ინფორმაციით, 5.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები ყველაზე ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტიდან დაახლოებით 55 კილომეტრში დაფიქსირდა.

ინფორმაცია ნგრევისა და დაზარალებულების შესახებ არ ვრცელდება.

დორილა ნაზარბაევამ პოსტი დატოვა

ყაზახეთის ექსპრეზიდენტის ქალიშვილმა დორილამ პარლამენტის სპიკერის პოსტი დატოვა.

დორილა, რომელსაც ყაზახეთის პრინცესასაც უწოდებენ, ქვეყანაში მეორე პირი იყო.

პოლიტოლოგ ტიშამბაევის აზრით, დორილას გადადგომა ყოფილ პრეზიდენტ ნაზარბაევთანაა შეთანხმებული.

– ნაზარბაევის ქალიშვილის მიერ სპიკერის პოსტის დატოვება ქვეყანაში კლანური გარჩევის შედეგია, – თვლის ტიშაბაევი.

მისი აზრით, დორილას ახალ თანამდებობას გამოუძებნიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ემილი რატაკოვსკიმ მორიგ სარეკლამო გადაღებაში მიიღო მონაწილეობა

ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და მეწარმე ემილი რატაკოვსკიმ საცვლების საკუთარი ბრენდის ინამორატას სარეკლამო კომპანიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათების სერია ინსტაგრამში მოდელის გვერდზე გამოქვეყნდა.

პირველ გამოქვეყნებულ კადრში 28 წლის რატაკოვსკი ბიუსჰალტერის გარეშე ყავისფერ კროპ-ტოპში გამოწყობილი პოზირებს, რომელშიც მისი შიშველი მკერდი მოჩანს. სუპერმოდელმა ასევე ფოტოსურათები გადაიღო ორფეროვან მოკლე მაისურში, ბრენდის საცურაო კოსტიუმსა და პერანგში გამოწყობილმა.

– მზად ხართ? ინამორატავუმენის ახალი კოლექცია ამ კვირაში, – დაწერა რატაკოვსკიმ ფოტოსურათებისთვის თანდართულ კომენტარში, რომელმაც მცირე დროში 942 ათასი მოწონება და თითქმის სამი ათასი კომენტარი მიიღო.

აზარტული თამაშების მოყვარული ერთ დღეში ორჯერ გახდა მილიონერი

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ პუებლოში მამაკაცმა ერთი დღის განმავლობაში ლატარიაში ორჯერ მოიგო მილიონი დოლარი და საკუთარი წარმატების საიდუმლო გაამხილა.

აზარტული თამაშების მოყვარულმა, რომელიც ჯო ბ.-ს სახელითაა ცნობილი, განაცხადა, რომ მოგება სტაბილურობის წყალობით გააორმაგა. ბოლო 30 წლის განმავლობაში ის ლატარიის ბილეთებში შეუცვლელად რიცხვების ერთსა და იმავე კომბინაციას 5-9-27-39-42 წერდა.

მარტის ბოლოს მან ლატარიის მორიგ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. მან ორ სხვადასხვა მაღაზიაში შეიძინა ბილეთები და ორჯერ გახდა მილიონერი.

ჯო ბ. 27 აპრილს მივიდა ლატარიის შტაბ-ბინაში და თავისი ფულადი პრიზი მიიღო. იღბლიანმა ამერიკელმა არ ისურვა იმის გამხელა, თუ რაში აპირებს მოგებული ფულის დახარჯვას.

ბიკინიანი მოდელი ხელის მთხოვნელებს ვერ აუდის

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ როლის მცხოვრები მოდელი ამტკიცებს, რომ მამაკაცებისგან ხელის თხოვნის ათეულობით წინადადებას იღებს.

22 წლის ჯესიკა სუნოკმა დაიანგარიშა, რომ კვირაში საშუალოდ დაქორწინების 50 წინადადებას იღებს. მისი თქმით, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მისი მოხიბვლა მისთვის 600 დოლარის გაგზავნით სცადა.

აღსანიშნავია, რომ არც ისე დიდი ხნის წინ მოდელი რელიგიამ გაიტაცა და მოინათლა კიდეც. თუმცა ეს მას ხელს სულაც არ უშლის, რომ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე კვლავაც გამოაქვეყნოს ბიკინიში გამოწყობილი საკუთარი ფოტოსურათები. ის ამას იმით ხსნის, რომ მისი დამოკიდებულება ღვთისადმი ფოტოსურათებით არ განისაზღვრება.

2016 წლამდე ჯესიკა სუნოკი სტილისტად და გამყიდველად მუშაობდა და მინიმალურ ხელფასზე ოდნავ მეტს იღებდა. მეგობარ მამაკაცთან დაშორებამ უბიძგა მას ადგილობრივ ავტოგამოფენაზე მოდელად მოწყობილიყო. ბიკინის კონკურსებში მონაწილეობის შემდეგ ის შენიშნეს და ჟურნალებისთვის ფოტოსესიებში იწვევდნენ. ამჟამად მისი გამომუშავება თვეში 100 ათას დოლარს შეადგენს და იმედი აქვს, რომ ბრენდებთან თანამშრომლობა და მოდელად მუშაობა წლის ბოლომდე მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

სახლში შეჭრილმა ლეოპარდმა შვიდი ადამიანი დააშავა

ინდოეთის ჯამას და ქაშმირის შტატის ქალაქ ხანდვარას მცხოვრებლის სახლში ლეოპარდი შეიჭრა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მტაცებელი ცხოველი საცხოვრებელ ბინაში 29 აპრილს შეიჭრა და იქ მყოფთ თავს დაესხა. მან შვიდი ადამიანის დაჭრა, მათ შორის, ორი ქალის, მოასწრო.

სახლის მობინადრენი მეზობლებმა გადაარჩინეს, რომლებმაც თავი მათ სახლთან მოიყარეს. მათ ბუნების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები გამოიძახეს. მათ კი მტაცებელი ცხოველი ტრანკვილიზატორის გამოყენებით დააძინეს.

დაშავებული ადამიანები საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილი, სადაც საჭირო სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

ქალებმა გამილიონერებული დურგალი უხამსი წინადადებებით აავსეს

ინგლისის ლანკარშირის საგრაფოს ქალაქ როჩდეილის მკვიდრმა ლატარიაში მსხვილი მოგების შემდეგ ქალებისგან უამრავი დახმარების თხოვნა და უხამსი შეთავაზებები მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 38 წლის დურგალმა რაიან ჰოილმა, რომელიც ადრე ხშირად ყიდულობდა სუპერმარკეტებში ლატარიის ბილეთებს, თვითიზოლაციაში ყოფნის პირობებში გადაწყვიტა ბედი ონლაინ გათამაშებაში ეცადა და 58 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

ჰოილის თქმით, მოგების შემდეგ მისი გვერდი ფეისბუქში უცნობმა ქალებმა უხამსი წინადადებებით აავსეს. გარდა ამისა, სახლის კართან ხვდება წერილები, რომელშიც ფინანსურ დახმარებას სთხოვენ უცნობი ადამიანები. ქალების წინადადებებმა დურგალი გააოგნა, თუმცა მისი მტკიცებით, ის საკმარისად გონიერია იმისთვის, რომ პოპულარობამ თავბრუ არ დაახვიოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნაზოგადევნა

თაკო ჩარკვიანი ქეთი დოლიძის წინააღმდეგ

პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი რეჟისორ ქეთი დოლიძეს დაუპირისპირდა:

– ვინმეს – „ზოგიერთს“ თუ ჰგონია, რომ ღალატი საკუთარი ქვეყნის, მეგობრის, ახლობელი ადამიანის, გარდაცვლილი მეგობრის, შეფურთხება სახელის, უანგარო სიკეთის, სიკეთე მხოლოდ უანგარო არსებობს, დანარჩენს ანუ ანგარებიანს – გარიგება ჰქვია და არა სიკეთე, მეგობრის ხსოვნის ღალატი, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მათი ანუ იმ მეგობრისთვის, მათთვის განკუთვნილი ღალატია, ძალიან ცდება, რადგან ღალატის დროს მხოლოდ საკუთარ თავს ღალატობ, ღირებულებებს ღალატობ, თუ გაგაჩნია, რა თქმა უნდა. ასე რომ, ყველა მთავრობის ერთ საყოველთაოდ „ცნობილ“ „კუკარაჩას“ შევახსენებ: რომ ღალატის დროს საკუთარ თავს ღალატობ, სხვას კი არა?! მხოლოდ საკუთარ თავს, მხოლოდ! ღალატი სხვისი არ არსებობს, საკუთარი თავის ღალატია ის, შენ, რომ სხვისი ღალატი გგონია! როგორც ჯანუკი გეტყოდა, ჯიგარო, სამწუხაროა!

და ბოლოს, ჯანსუღის სტრიქონებს შეგახსენებ 70-იანებში დაწერილს, ერთ გამყიდველ კაცს, გამაღალჩინოსნებულს მიუძღვნა: „გული ჩემი ბატკანივით შემოგწირე შენ, დადიხარ და დადიდგულობ სხვანაირად სტვენ, ყველაფერში გაყიდულო, ამხანაგო ენ.“ ჯ. ჩ.

პ.ს. თაკო „იმისტი“ ხარ? „ამისტი“ ხარ?! აი ამ სისულელეს, იდიოტურ კითხვას ჯობია მიხვდე, ასაკში მაინც მიხვდე, რომ ერთი რამ არსებობს და იმას საქართველოისტი ჰქვია, მაგრამ რა იცი ეგ შენ, ან რაღა დროის სწავლაა უკვე, რადგან „ოლიგარქის ქველმოქმედება გადევს ბორკილებად“! დასანანია! დაიმახსოვრე – ქველმოქმედება არ შეიძლება ანგარებიანი გარიგება იყოს!

თაკო ჩარკვიანს რეჟისორმა ქეთი დოლიძემ ასე უპასუხა:

– წერეთ, მლანძღეთ! მე კი ასე ვარ მაინც! მთელ მსოფლიოში ჩემს მეგობრებს ველაპარაკები! ერთმანეთს სიყვარულს ვუხსნით, ვამხნევებთ!

ამ საწოლ ოთახში ჯერ დედა და მამა ბინადრობდნენ, მერე მამა და მე, მერე მარტო მე, მერე მე და კოკა! აქ, ამ საწოლში, 13 წლამდე ჩემს გვერდზე იყო ჩემი დისშვილი ხათუნა იოსელიანი, მერე ჩემი შვილები, მერე ჩემი შვილიშვილი!

წელიწადში ერთხელ, ჩემი კლასელი გოგოებიც ვიკრიბებით, დღემდე გოგოები ვართ! ვეფერებით ერთმანეთს და ავ სულებს ვიგერიებთ!

კორონას კი დავამარცხებთ, გაბოროტებას რა ვუყოთ?!

იმან ინანოს, ვინც....

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ყველას რაღაც აქვს მოსაგონარი

ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი მეუბნებოდა, იბო, „იმედი“ ყველაზე კარგი არხი იქნება, ის მარტო სიმართლეს მოემსახურებაო. ბადრი, ალბათ საფლავში ტრიალებს, ისე „გააბანძეს“ „იმედი“, მე მრცხვენია მაგათ მაგივრად. ნიკა წულუკიძეს ვეკითხები, ბიჭო, შენ არტისტი ხარ თუ „პოვარი“, საჭმელებს რომ აკეთებ, ილუკმები და ამას მშიერ ხალხს აყურებინებ, მთელი დღე ცეკვა-თამაში, სიმღერა და ღლიცინი რომ გაქვთ ამ ვირუსით და შიმშილით დათრგუნული ხალხისთვის.

ბადრი ხშირად მსტუმრობდა რესტორან „ნიკალაში“. ის ყველას პატივისმცემელი და კეთილი კაცი იყო. სულ მეუბნებოდა, როგორც შენ გიყვარს ნახალოვკა, მე ისე მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხიო. მოღალატე მიშა, როგორ მოგვიკალი ეს კეთილშობილი კაცი? რომან გოცირიძე რომ ამბობს, მიშა ჩაუძირავიაო, შე „კუპონა“, მილიონები რომ გაიტანე და უმწიკვლო კაცის როლს თამაშობ, დააბრუნე ის მილიონები.

პრეზიდენტი გვყავს ისეთი, თვითონ ვერ გებულობს, რას ამბობს და ჩვენ რა უნდა გაგვაგებინოს. კაცისმკვლელსა და გაქცეულ კაცს რომ იწყალებ, ამას რა ქვია, ქალბატონო სალომე ზურაბიშვილო?

მეზობელი მეუბნება, ნუღარ წერ, არ დაგიჭირონო. დაჭერილები არა ვართ, სახლში იჯექი, არ გამოხვიდეო. მგონია, რომ ეს ვირუსი მაგარი „ბლეფია“, მაგრად „გვაბოლებენ“. ქართველი ხალხი ძლიერია, 10 ვირუსი რომ იყოს, გადავიტანთ, იმიტომ, რომ ძლიერი ერი ვართ. არ შეშინდეთ, ჯიგრებო, შავი ჭირი გადავიტანეთ და ამასაც გადავიტანთ.

იბო დოლიძე

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

დავით ხოჭოლავა: „შახტართან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა“

საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის შახტარის ქართველი მცველი კლუბის გულშემატკივრებს სოციალური ქსელის საშუალებით ესაუბრა.

– უკვე 51 დღეა, უკრაინაში კარანტინია. რას აკეთებ სახლში?

– მწვრთნელები ახალ სავარჯიშო გაკვეთილებს გვიგზავნიან და ვიდეოკომუნიკაციით ერთობლივად ვვარჯიშობთ. უფრო მეტ დროს ოჯახთან ერთად ვატარებ, ვკითხულობ წიგნებს და ვუყურებ ფილმებს. ცოტა ფორტეპიანოზე დაკვრაც ვისწავლე.

– როგორ მიმდინარეობს ვარჯიში ვიდეოკონფერენციის რეჟიმში?

– პროგრამაში ბევრი ფანჯარაა და ახლა უკეთ შევეჩვიეთ, ვიდრე კარანტინის დასაწყისში. თავიდან რთული იყო, მაგრამ ყველა შეეგუა, ვიყიდეთ სავარჯიშო ველოსიპედი და სარბენი ბილიკი.

– როგორი ვითარებაა საქართველოში?

– იქ კარანტინი გაცილებით მკაცრია, თუ უკრაინაში ქუჩაში სეირნობა ნიღბით დაშვებულია, საქართველოში 1 კვირა მანქანით სიარულიც აკრძალული იყო. ხალხი არა მარტო ნიღბებით, არამედ პლასტიკური ფარითაც დადის. 21:00 საათიდან კი კომენდანტის საათი მოქმედებს დილის 6 საათამდე, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს გარეთ ყოფნა.

– როგორ ფიქრობ, როდის დასრულდება კარანტინი უკრაინაში და რა ბედი ელის ფეხბურთს?

– ვფიქრობ, რომ კარანტინი თანდათან შესუსტდება და 12 მაისიდან ხალხი დაიწყებს სამსახურებში წასვლას, რომ ეკონომიკა არ დაზარალდეს. ყველა ბიზნესი ძალიან დიდ ზარალს განიცდის. ნიღბებით ალბათ დიდი ხანი მოგვიწევს სიარული, შეიძლება ერთი წელიც. ფეხბურთს რაც შეეხება, თუ სეზონი გაგრძელდება, აშკარაა, რომ უმაყურებლოდ თამაში მოგვიწევს.

– გულშემატკივრისგან ყველაზე უცნაური საჩუქარი რა მიგიღიათ?

– ჩემი სახელობის კოვზი მატჩის შემდეგ.

– ფეხბურთში რა წესს შეცვლიდით?

– რთული კითხვაა. არაფერს შევცვლიდი, უფრო ალბათ ვარ-ს ამოვიღებდი, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი უმჯობესდება და ვფიქრობ, წესები იდეალურ დონეზეა.

– ვინ არის შახტარში ყველაზე სწრაფი ფეხბურთელი?

– ბურთის გარეშე დოდო. ის ძალიან სწრაფია, მახსოვს, ბაზაზე ტესტები ჩავატარეთ, 30 მეტრი გავირბინეთ. ჩვეულებრივ ყველას შედეგი 3.8/3.9 წამი იყო, მაგრამ დოდომ უფრო სწრაფ დროში გაირბინა და მგონი მსოფლიო რეკორდზეც სწრაფია. მაგრამ ბურთთან ერთად უფრო სწრაფად მუშაობა ტაისონს შეუძლია. შეუძლებელია მისი დაჭერა, თუ ბურთი აქვს.

– თამაშის დროს მეკარეები ხშირად ესაუბრებიან მცველებს. ანდრეი პიატოვისგან რა სიტყვები გსმენიათ?

– მუდმივად გვკარნახობს: მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, უკან... თითქოს მთელი თამაში მხრებზე გვაზის. ეს მცველებს ძალიან გვეხმარება და მინიშნება გვჭირდება.

– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც შახტარმა კონტრაქტი შემოგთავაზათ?

– დიდი ხანი ვიცოდი, რომ შახტარს კონტრაქტის გაფორმება სურდა. ოდესაში ვთამაშობდი და თამაშებზე მოდიოდნენ, მაკვირდებოდნენ. შესაბამისად, ეს ჩემთვის სიახლე არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ შოკის გარეშე, რადგან ამისთვის ვემზადებოდი.

– შახტარში გრძნობთ, რომ ლეგიონერი ხართ?

– არა. შვებულების შემდეგ ზოგჯერ ლეგიონერები ერთი დღით გვიან ჩამოდიან, მაგრამ მე ყოველთვის უკრაინელებთან ერთად ვბრუნდები. ექიმს დავურეკე და ვუთხარი: ლეგიონერი ვარ, კიდევ ერთი დღე მომეცი. პასუხია – არა!

– რას აირჩევთ: მსოფლიო ჩემპიონობა საქართველოს ნაკრებთან ერთად თუ ჩემპიონთა ლიგის მოგება შახტარში?

– საქართველოს ნაკრებს მსოფლიო თასის მოგების მცირე შანსი აქვს, ვიდრე შახტარს ჩემპიონთა ლიგის მოგების. თუ არჩევანი უნდა გავაკეთო, საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობა. შახტარს კი, ჩემპიონთა ლიგის მოგების მეტი შანსი გააჩნია.

– საქართველოს ნაკრებთან ერთად მთავარი ოცნება რა არის?

– უახლოესი მიზნებიდან ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. საქართველოს არასდროს უთამაშია დიდ ტურნირებზე, მაგრამ ახლა ძალიან კარგი შანსი გვაქვს. 2 მატჩის მოგება გვჭირდება, მაგრამ როდის გაიმართება, არ ვიცით.

– ხაჭაპური თუ ხინკალი?

– ახლა ხაჭაპურს ავირჩევდი, რადგან დიდი ხანია არ მიჭამია. ხინკლის ჭამა ყოველ 6 თვეში შემიძლია, როდესაც თბილისში ჩავდივარ. უკრაინაში არ ვჭამ, რადგან გემო ძალიან განსხვავებულია.

– საყვარელი ადგილი თბილისში?

– კუს ტბა. ჩემს სახლთან ახლოსაა, დილით ფეხით გასეირნება შესაძლებელია, იქვეა კარგი კაფე, სადაც ჩემი ბევრი მეგობარი და ნათესავი იკრიბება. მესამე ადგილი კი, რა თქმა უნდა, სახლია.

– საქართველოში რომელ ადგილებში უნდა ვიმოგზაუროთ?

– ზაფხულში შესანიშნავია ბათუმი, ძალიან კარგი ზღვაა, ქალაქში უამრავი ადამიანი, რესტორნები, თბილისში სტუმრობა ყველა სეზონზე შეიძლება.

– რომელ მწვრთნელთან გსურთ მომავალში მუშაობა?

– ალბათ იურგენ კლოპთან. მომწონს გუნდის შექმნის მეთოდი, მისი ხასიათი.

– ისტორიაში 5 საუკეთესო ცენტრალური მცველი?

– მალდინი, ნესტა, რამოსი, ჩივაძე და კანავარო.

– საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი ამ ეტაპზე?

– ვიტყვი, რომ ყაზაიშვილი. ის ახლა აშშ-ში თამაშობს, მასთან ერთად 6 წლიდან ვთამაშობ, ვიცი მისი ნიჭი და შესაძლებლობები. ასევე ჩაკვეტაძე, რომელიც ბელგიაშია, 19 წლისაა, მაგრამ უკვე ბევრი გრანდი აკვირდება. ვფიქრობ, მალე ძალიან დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

– 2013 წელს მხითარიანმა „დონბას არენაზე“ იმღერა. შენც გააკეთებდი იგივეს?

– დიახ, ვფიქრობ, რომ მეც შემიძლია ცეკვა და სიმღერა, მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ხმა მაქვს. მთავარია, იქ დავბრუნდეთ, ვითამაშოთ და ჩემპიონები გავხდეთ.

– რა არის თქვენი 3 დადებითი და უარყოფით საფეხბურთო თვისება?

– დადებითი: ბრძოლისუნარიანობა, თავით კარგად თამაში და ცენტრალური მცველისთვის სისწრაფე. უარყოფითი: შეტევით ფაზაში თამაში, გრძელი პასები და არასტაბილურობა.

– სიმბოლური ნაკრები იმ ფეხბურთელებისგან, რომელთანაც გითამაშია?

– პიატოვი, სრნა, კაშია, რაკიტიჩი, ისმაილი, სტეპანენკო, მარლოსი, ჩაკვეტაძე, ყაზაიშვილი, ტაისონი, ტეიშეირა.

– სიმბოლური ნაკრები მოქმედი ფეხბურთელებისგან?

– ობლაკი, ალექსანდერ-არნოლდი, რამოსი, ვან დეიკი, მარსელო, მოდრიჩი, კროოსი, მესი, რონალდუ, სუარესი, აგუერო.

რუსი სპორტსმენები ისევ დოპინგზე ჩავარდნენ

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) ცნობით, მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მონაცემებისა და ნიმუშების შესწავლის შემდეგ 298 რუსი სპორტსმენის მიმართ დაწყებული გამოძიება დასრულდა.

რუსების საქმეზე დეტალური ინფორმაცია გადაეცა 28 ანტისადოპინგო ორგანიზაციას, მათ შორის 27 საერთაშორისო ფედერაციას და ერთ მნიშვნელოვან საშეჯიბრო საორგანიზაციო კომიტეტს.

ვიტოლდ ბანკა, ვადას პრეზიდენტი:

– ანტისადოპინგო ისტორიაში ეს იყო ყველაზე კომპლექსური გამოძიება. ვადას საგამოძიებო ჯგუფმა წარმოუდგენელად დიდი სამუშაო შეასრულა, რომელიც შეეხო ათასობით ნიმუშს, 24 ტერაბაიტის მოცულობის მონაცემს, 28 ორგანიზაციის ასეულობით ათლეტს. 5 წლის განმავლობაში ვადას საქმიანობაში რუსულ დოპინგ-კრიზისს მთავარი ადგილი ეკავა, მაგრამ ჯერ არაფერი დასრულებულა. მოსკოვის ყოფილი ლაბორატორიიდან აღებული სინჯების განმეორებითი ანალიზი გრძელდება. ამ პროცესმა უკვე 57 შემთხვევა გამოავლინა და დადასტურების სტადიაშია.

რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს გენერალური დირექტორი იური განსუი არ გამორიცხავს, რომ საერთაშორისო ფედერაციები ეჭვმიტანილ 298 ათლეტიდან ბევრს დასჯიან და მოსალოდნელია მასობრივი დისკვალიფიკაციების ახალი ტალღა.

2019 წლის იანვარში მოსკოვის ანტისადოპინგო სააგენტოდან ვადას ექსპერტებისთვის მონაცემების გადაცემას დიდი ხმაური და 298 სპორტსმენისგან შემდგარი ეჭვმიტანილთა ჯგუფის გამოკვეთა მოჰყვა.

როგორ გახსოვთ, გასული წლის ბოლოს ვადას აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის 2012-15 წლების მონაცემთა ბაზის შეცვლასთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალების გამო რუს სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე სახელმწიფო დროშით გამოსვლა 4 წლით აუკრძალა.

რუსეთს ასევე აეკრძალა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობა ან მათ ჩატარებაზე განაცხადის გაკეთება. გარდა ამისა, რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტო მსოფლიო ანტისადოპინგო კოდექსთან შეუსაბამოდ ცნეს.

მოამზადა მანეილ ყორეყოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

მედიკოსები ეკიპირების დეფიციტის გამო, პროტესტის ნიშნად გაშიშვლდნენ



გერმანიაში მედიკოსებმა იმაზე პროტესტის ნიშნად, რომ არ ჰყოფნით სპეცტანსაცმელი და სამედიცინო ნიღბები, შიშვლებმა გადაიღეს ფოტოსურათები.

აქციის მონაწილეთა შორის, რომელიც სოციალურ ქსელებში მიმდინარეობს, არიან, როგორც მამაკაცები, ისე ქალები. სურათებში ისინი საკუთარ კაბინეტებში პოზირებენ, სხეულის შიშველ ნაწილებს კი ფურცლებით, ტუალეტის ქარალდებით და სამედიცინო მოწყობილობებით იფარავენ.

– სიშიშვლე ჩვენი დამცავი საშუალებების გარეშე ჩვენი დაუცველობის სიმბოლოს წარმოადგენს, – განაცხადა აქციის ორგანიზატორმა, ექიმმა რუბენ ბერნაუმ.

ანალოგიური აქცია გამართეს ფრანგმა კბილის ექიმებმა. ისინი საკუთარ შიშველ ფოტოსურათებს იმისთვის აქვეყნებენ, რომ საკუთარი პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

პსჟ სენტ ეტიენს დაეწია

პარი სენ ჟერმენი საფრანგეთის ჩემპიონია – ლიგა 1-მა პარიზული კლუბი ჩემპიონად გამოაცხადა. პსჟ მეათედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ამ მხრივ სენტ ეტიენს დაეწია.

მეათედ გაჩემპიონებაში პსჟ-ს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ედუარ ფილიპი „წაეხმარა“, ვინც რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა, რომ საფრანგეთში ყველა სპორტული ღონისძიება სექტემბრამდე იკრძალება.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ მოვლენები დააჩქარა – პსჟ-ს პრემიერის დახმარების გარეშეც შეეძლო ჩემპიონობა, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე 10 ტურით ადრე უახლოეს მდევარ მარსელს 12 ქულით უსწრებდა და ერთი მატჩიც თადარიგში ჰქონდა.

ასეა თუ ისე, პარიზელები მე-10 ტიტულს დაეუფლნენ. კლუბის პრეზიდენტმა, ნასერ ალ-ჰელაიფმა ჩემპიონობა კორონავირუსის წინააღმდეგ მებრძოლ ექიმებს მიუძღვნა.

– გვესმის, ვაფასებთ და მხარს ვუჭერთ საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჩემპიონატის დასრულების შესახებ. ჯანმრთელობა ყველასთვის პრიორიტეტული უნდა იყოს.

გვინდა ეს ტიტული მედიცინის მუშაკებს მივუძღვნათ, ჩვენს ყოველდღიურ გმირებს, რომლებიც წინა ხაზზე იბრძვიან. მათი მუშაობა ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს.

მადლობა მინდა გადავუხადო ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, გუნდის ტექნიკურ და სამედიცინო პერსონალს, რომლებმაც დიდი სამუშაო გასწიეს. ეს ტიტული მათი მძიმე შრომის დამსახურებაა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ეს ტიტული ამ მძიმე დღეებს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს გუნდის გულშემატკივრებს. მათგან მხურვალე ქომაგობას ვგრძნობთ, რაც გუნდს წინსვლაში ეხმარება.

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს მეტოქეებს. მოუთმენლად ველოდებით ახალ სეზონს მათთან ერთად, – განაცხადა ნასერ ალ-ჰელაიფმა.

გეტყვით, რომ რაც სენტ ეტიენმა მოახერხა, პსჟ-მ მოგვიანებით დაიწყო. სენტ ეტიენმა თავისი მე-10 ტიტული 1981 წელს მოიგო, ხოლო პსჟ-მ პირველი ჩემპიონობა 1985 წელს იზეიმა.

არადა, მარსელსაც შეეძლო ტიტულების მხრივ პირველობა გაეყო სენტ ეტიენთან. ზღვისპირელები ოფიციალურად 9 ტიტულს ფლობენ, არაოფიციალურად კი 10-ჯერ გახდნენ საფრანგეთის ჩემპიონები, მაგრამ 1993 წელს მოგებული ტიტული მსაჯების მოსყიდვის გამო ჩამოართვეს.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი შეწყვეტილი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს იყო და 1940-45 წლებში არ გამართულა. წლევანდელი ლიგა 1 პირველია, რომელიც შუა სეზონში შეწყდა.

ჩემპიონის გარდა, ლიგა 1-მა სხვა ადგილებიც გაანაწილა: ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებენ პსჟ, მარსელი და რენი, ლიგა ევროპას ლილი და რეიმსი წარმოადგენენ, ხოლო ლიგას ამიენი და ტულუზა დაემშვიდობა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 4. მომღერალი, მუსიკოსი შუა-აზიაში; 5. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 18. ტროპიკებში გავრცელებული მოკლე ხორთუმიანი ცხოველი; 14. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 16. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

თარაზულად: 6. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 7. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 8. მდინარე ბერლინში; 9. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 18. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინო-პრიზი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 21. სომხური ცეკვა; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსანთა ნავში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ალებასტრი; 2. ჰეროინი; 3. ტიროლი; 4. აქატი; 5. გრინგო; 11. „სოკარი“; 12. სეტერი; 14. „გომი“; 16. ლაქტოზა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. ბრომი; 22. ჭვავი.

თარაზულად: 6. კლარნეტი; 7. სექტორი; 8. ტვენი; 9. ჰამამი; 10. ლექსი; 13. გრიგი; 15. „ალადასტური“; 18. მიკრობი; 20. „არსი“; 21. ბოხოხი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პრიმატოსი; 2. გორგოძე; 3. პიექსი; 4. ჰავრი; 5. ანკერი; 11. ბასტრი; 12. ფროიდი; 14. ჯემი; 16. კანბერა; 17. კარტეჩი; 19. მენისკი; 21. ბასრა; 22. მზისა.

თარაზულად: 6. ბრეტიორი; 7. დუაიენი; 8. როდენი; 9. „ნაბუკო“; 10. სოტბი; 13. მსაჯი; 15. სკეიტბორდი; 18. დიადემა; 20. აული; 21. „ბოლერო“; 23. კათოლიკოსი; 24. „ჩედერი“.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1923

ევრო — 3.5048

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0076

100 რუსული რუბლი — 4.2341

ამინდის პროგნოზი 4 მაისისთვის

თაკო გაჩეჩილაძე ბიჭის დედა გახდა

მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე ბიჭის დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. პატარას მშობლებმა ელია დაარქვეს.

თაკო გაჩეჩილაძეს და ბორის მილანოვს ერთი გოგონა გაბრიელა უკვე ჰყავთ, რომელიც გასულ წელს მოევლინა ქვეყანას.

თათია კობალაძე: „მომღერლები ასე რატომ გაგვწირეთ?!“

მომღერალი თათია კობალაძე კითხვით მიმართავს საქართველოს მთავრობას და პასუხსაც დაუყოვნებლივ ელოდება:

– იცით რა მაინტერესებს?! მომღერლები ასე რატომ გაგვწირეთ?!

ელემენტარული ის 200 ლარიც კი არ გვიწევს იმის გამო, რომ კომპანიას, სადაც ვმუშაობდით, არ სურს ცნობის გაცემა!

როცა ქეიფობთ და ჭკუაზე არ ხართ, საქართველოს მთავრობა, მაშინ ხომ კარგები ვართ?! ახლა რატომ დაგვიკიდეთ ასე მაგრად?

გიორგი ონიანი: „გახდეს ქართული ენის ცოდნა სავალდებულო ყველა მოქალაქისთვის“

ამ ინიციატივით ოპერის მომღერალი გიორგი ონიანი გამოდის:

– გახდეს ქართული ენის ცოდნა სავალდებულო ყველა მოქალაქისთვის.

არსად დედამიწაზე მსგავსი რამ არ ხდება. ენის გარეშე ვერ ინტეგრირდება ვერავინ და იმიტომაც გვაქვს ამდენი სეპარატისტული და კონფლიქტური რეგიონები.

ლატვიის სცენარი იქნებოდა ძალიან კარგი. ვინც არ იცის სახელმწიფო ენა, იღებს განსხვავებულ პასპორტს, რითაც ვერც ევროკავშირის ქვეყნებში იმოგზაურებ და ვერც ვერსად, გარდა ლატვიისა.

გურჯაანში VI-VII საუკუნეების სამარხები აღმოაჩინეს

მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში VI-VII საუკუნეების ორი სამარხი აღმოაჩინეს.

ადგილზე სპეციალისტებმა ბრინჯაოსგან დამზადებულ ბეჭდებსაც მიაკვლიეს. აღმოჩენა გურჯაანში ერთ-ერთი ადგილობრივის სახლის ეზოში მიმდინარე სამუშაოების დროს გაკეთდა. მან გურჯაანის მერიის ძეგლთა დაცვის სამსახურს მიმართა.

– აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დამზადებული ბეჭდები, რომლებიც გადაეცემა შესანახად და გამოსაკვლევად გურჯაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ფონდსაცავს. სამარხების აღმოჩენამ მთლიანად შეცვალა სოფელ ძირკოკის ისტორია. ირკვევა, რომ დღევანდელი სოფლის ტერიტორია ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან ყოფილა დასახლებული, – განუცხადა ჟურნალისტებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა.

სოფელ ძირკოკში არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დახმარებით განხორციელდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 მაისისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი წიგნს კითხულობს და უცბად ქმარს ეუბნება:

– რა სამარცხვინოა! რა სამარცხვინოა!

– რა მოხდა, ქალო?

– რა და, წარმოგიდგენია, ვიღაც გალაკტიონს თავის წიგნში გამოუქვეყნებია ის ლექსები, შენ რომ ჩვენი გაცნობის დროს მომიძღვენი!

●●●

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, გაკვეთილები ისწავლე?

– არა.

– მაშინ, უკვე რატომ წევხარ ლოგინში?

– რაც უფრო ნაკლები იცი, უფრო მშვიდად გძინავს!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– როგორ ახერხებ ასეთი ფიგურის შენარჩუნებას?

– ხალხური ცეკვით.

– რომლით?

– სტრიპტიზით.

– კი მაგრამ, ეგ რანაირი ხალხური ცეკვაა?

– არ ვიცი, ხალხს კი მოსწონს და!

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– ნასვამი ხარ?

– დიახ, ჩინელებთან ერთად ვსვამდი. გინდა, ამოვისუნთქო?

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, სად მიდის წერო იმის შემდეგ, ბავშვს რომ მოიყვანს?

– როგორ თუ სად? უკან, შარვალში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარკუს რეშფორდი: „ფეხბურთელები სამაგალითოდ უნდა იქცეოდნენ“

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა განაცხადა, რომ ფეხბურთელებმა კარანტინი აუცილებლად უნდა დაიცვან და სხვა ადამიანებს მაგალითი მისცენ.

რეშფორდის აზრით, ფეხბურთელებს ყველა უყურებს და ისინი ბევრისთვის მაგალითები არიან:

– ფეხბურთელებს წესების დაცვა განსაკუთრებით მოეთხოვებათ, რადგან ხალხი ჩვენ ყურადღებით გვიყურებს და რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იმას ხშირად იმეორებს. უსაფრთხოება და ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ ყველამ უნდა გავაკეთოთ ის, რაც საჭიროა. სხვაგვარად არ შეიძლება.

პსჟ უმტიტის ყიდვით დაინტერესდა

ბარსელონას ფრანგი ცენტრალური მცველი სამუელ უმტიტი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და პსჟ-ს ფეხბურთელი გახდეს.

პსჟ მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს. უმტიტის ბარსელონადან წასვლა ადრეც უნდოდა, როდესაც ის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, თუმცა შემდეგ მან გადაიფიქრა. ბარსელონაში გადმოსვლამდე უმტიტი ლიონის ღირსებას იცავდა და მას ამ გუნდისგანაც აქვს შეთავაზება.

მარსელო: „მომბეზრდა, მესის და რონალდუს რომ ადარებენ“

მადრიდის რეალის მცველმა მარსელომ მესიზე და კრისტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ მობეზრდა ამ ფეხბურთელების ერთმანეთთან შედარება.

მარსელოს თქმით, ორივე მათგანი უძლიერესი ფეხბურთელია და მათ თავიანთი დადებითი მხარეები აქვთ:

– რონალდუსთან ერთად 10 წელი ვითამაშე და სხვა ყველაფერთან ერთად მას საოცარი ხასიათი აქვს. ის მუდმივად ცდილობს თანაგუნდელების დამუხტვას. მესი ასევე უნიკალური ფეხბურთელია, თუმცა უკვე მაღიზიანებს, როდესაც მათ მუდმივად ადარებენ.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

ნიანგის და ლომების დაპირისპირება ვიდეოზე გადაიღეს

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ნიანგისა და ლომებისშეტაკების თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორი 61 წლის ვერნონ კრესველი ლომების დიდ ოჯახს ადევნებდა თვალს. მათ რამდენიმე საათით ადრე წყლის თხა მოინადირეს, დანაყრდნენ და იქვე შორიახლოს ისვენებდნენ. ლომების ტრაპეზმა ნიანგის ყურადღება მიიპყრო, რომელიც მდინარიდან იმის იმედით ამოვიდა, რომ ლომების ნანადირევიდან მასაც შეხვდებოდა რაიმე.

ლომების ბოკვერები რეპტილიას გარს შემოერტყნენ და მისი რეფლექსების გამოცდით გართობა დაიწყეს. მდინარის ნაპირთან მყოფ საკუთარ ნაშიერებს ხუთმა მოზრდილმა ლომმა მიაკითხა, როდესაც ნიანგმა ყბების მოძრაობით მათი შეშინება და ასე თავიდან მოშორება სცადა, ლომები მას თავს დაესხნენ.

– ლომების რეფლექსები ნიანგისაზე სწრაფია, ამიტომ მალე უპირატესობა მათ მხარეს აღმოჩნდა, – დაწერა კრესველმა, – ნიანგმა იგრძნო, რომ შანსი არ ჰქონდა, სასწრაფოდ მდინარეში დაბრუნდა და წყალში გაუჩინარდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ მაჭავარიანი კალიფორნიელი იმუნოლოგის რჩევას გვიზიარებს

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი კალიფორნიელი იმუნოლოგის რჩევას გვიზიარებს:

– ვუსმინე და ვუყურე კალიფორნიელი იმუნოლოგის ინტერვიუს:

მისი კრედოა: კაცობრიობამ უნდა გამოიმუშაოს იმუნიტეტი!

მისი რჩევები: 1) ტესტები-ტესტები, 2) მედიცინამ მიხედოს მხოლოდ დაავადებულებს, 3) ჯანმრთელები დაუბრუნდნენ ჩვეული ცხოვრების წესს და რიტმს, არ არის საჭიროო არც პირბადე, არც ხელების ჟელე, ასე გამოიმუშავება იმუნიტეტიო.

მოკლედ და ქართულ-ხალხურად რომ ვთქვათ; ყველამ თავის ... მამიდას მიხედოსო. გისურვებთ ჯანმრთელობას!

პ.ს. ამ ფონზე ეგებ უფოლოგებმა გვიშველონ.

რომა გიორგაძემ ლევან რატიანი აამღერა

კომპოზიტორმა რომა გიორგაძემ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელი, ექიმი ლევან რატიანი აამღერა. ამის მიზეზი ექიმის მიერ გრძელენიანებისთვის და მოკლეენიანებისთვის ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელებული განცხადება გახდა.

კომპოზიტორმა ჰიპ-ჰოპ ტრეკით ლევან რატიანის ნათქვამი მუსიკალურად ააჟღერა, ინტერნეტში გაავრცელა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა:

– მიუხედავად ამ ჟანრთან ჩემი ახლო დამოკიდებულებისა, როგორც მუსიკოსი და მსმენელი, არასოდეს გამჩენია სურვილი ჰიპ-ჰოპ ტრეკი დამეწერა.

შემთხვევით გადავაწყდი იუთუბზე, ლევან რატიანის ცნობილ გაბრაზებას, მომენტალურად გამიჩნდა იდეა, რომ ტექსტი დამეჩეხა და თანხლება გამეკეთებინა.

ერთი ამოსუნთქვით, თითქმის ორ საათში დაიწერა და დასრულდა ტრეკი.

ცოტა გადავერთე სხვაგან და ძალიან ვისიამოვნე პროცესით. საინტერესოა, მე მომწონს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. მემკვიდრეობითობის მატარებელი მიკროორგანიზმი; 3. სიბერით გამოწვეული დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. მრავალშრიანი ფანერი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიულ-სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

თარაზულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. მდინარე რომში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 20. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა